

გიორგი აღნიაშვილი

რითმული პროზა

და

მოთხრობა

(სამ ნაწილად)



შპს „გამომცემლობა გრიფონი“

თბილისი

2012

რედაქტორი
ანი ხიხაძე

დამკაბადონებელი
მირანდა მარტიძე

რითმული პროზა და მოთხრობა (სამ ნაწილად)
© გიორგი აღნიაშვილი
საავტორო უფლებები დაცულია

შპს „გამომცემლობა გრიფონი“
ISBN 978-9941-9235-5-5

პარტიზანები (რიტმული პროზა)

გარინდებულა ტყე, ფოთოლიც აღარ იძვრის, შაშვებიც დამუნჯებულან, სიოც ჩუმადა თრთის. წვიმა ასველებს მიწას, სტირის ბუნება შვილს. ბაღლებით დახუნძლულები მოდიან პარტიზანები. სვანეთის მთებისკენ მათ მიჰყავთ ბალის აღსაზრდელები. ცხუმი დაეცა, ვარამი ზეობს, მტერი ხარობს და ხარობს ყორანიც. ბედიის ზარი დადუმებულია, ვერ უხმობს მრევლსა და მლოცველს. ერთი ცხედარი თან მიაქვთ, მკერდგაგლეჯილი ძმის, ის ბაღლებს გადაეფარა, გემო გაიგო ტყვიის.

სოფელს მიადგნენ ეულნი, ბინა ითხოვეს რიდით. ბაღლი ბუხართან ჩამოსხეს, შემდეგ მიბრუნდნენ ცხედრისკენ. წესის აგება ითხოვეს, მღვდელი კითხულობს ფსალმუნს, იქით კუბოსა სჭედავენ, ზარი გაუდის ჩაქუჩს. შიგ ჩაასვენეს ვაჟკაცი, საფლავსაც სთხრიან ვაჟნი, დამტირებელიც არა სჩანს, გული ივსება დარდით.

ჭიქა ასწია წინ მდგომმა, ღმერთს შეავედრა კაცი.

– პარტიზანები ქარიშხლით ვვახშობთ, ტყე არის ჩვენი ბინა, საფარი. ვერ ყმუის რიხით ამ ტყეში მგელიც, სიოც ვერ დაჰქერის ჩვენს უნებართვოდ. სიკვდილთან ერთად გვძინავს და ვლალობთ, პურსაც მასთან ვტეხთ, ერთად ვლოცულობთ. პარტიზანები ჩვენს მიწას ვიცავთ – ქართველთა მოდგმის დიად საუფლოს. კურთხეული ხარ, შენ, ძმაო ჩვენო. ვალმოხდილი ხარ ერის წინაშე. მიწას გაბარებთ და ღვთის შენდობა მოგმადლებოდეს, ამინ და ამინ.

ჭიქა ასწიეს პარტიზანებმა, შენდობა უძღვნეს, უფალს დიდება.

– ბედნიერი ხარ, შენ, ჩვენო ძმაო, ქრისტიანულად წესი აგიგეთ, თვალიც დაგხუჭეთ სამარადჟამოდ. ჩვენ კი არ ვიცით, ვინ როგორ წავალთ, იქნება მგლებმა დაგვინაწი-

ლონ. უფალო, ღმერთო, შენ უწყი მხოლოდ ჩვენი სულების ღრმა საიდუმლო.

ერთმა ტყის ძმამ მაგნიტოფონში კასეტა ჩადო, ჩართო ღილაკი.

– ესე სიმღერა ჩვენს ძმას უყვარდა, საცოლვე მღერის პირმშვენიერი და გაზაფხულზე ქორნილს გეგმავდნენ, მეჯვარედ მე ვიყავ ამორჩეული.

„მე მთვარის სხივი ზღაპარს მიყვება

და ღამის სიოს ალერსით ვთბები...
ნაზი ოცნებით დამეძინება

და ანგელოსი დამფარავს ფრთებით.
მიყვარხარ-მეთქი, დუმილით ვტირი,

შენ დაგტრიალებ ქალური ფიქრით,
არ გთხოვ არც ვარდებს, არც იის კონას,
დავეშურები ვნებიან კოცნას.

და, თუ გიყვარვარ, თვალს რად მარიდებ?

რატომ გაგირბის სხვისკენ გონება?

მე შემომხედე, შენს წინა ვდგავარ,

იქნებ, ეს მე ვარ შენი ოცნება?

რეჟიემს ცვლიდა ნაზი სიმღერა, სიყვარულისთვის ამღერებულს. ყვავილიც აკლდა ვაჟკაცის კუბოს, ცრემლი სდიოდათ ტყის ძმების საძმოს. უცბად გაფითრდა წინ მდგომი, ბავშვების ალყა გარეშე ერტყათ. მდუმარე თვალებს ნათელი აკლდა, კრძალვით უცქერდნენ მსხნელებს ბალღები.

– თქვენ აქ რა გინდათ? ხომ გაცივდებით? ვისა აქვს თქვენი მოვლის დრო და საათი?! – მიმართეს ბალღებს.

– იცი, ბიძია, ეს ჩემი ქურქი დედამ მაჩუქა, თბილია ძია... ჩემი დედიკო ძმას რომ მიჩენდა, მაშინ მომიკლეს ცუდმა ძიებმა.

ბალღმა გაიძრო ქურქი თავისი, მიუახლოვდა ცხედარსა კრძალვით, ზედ დააფარა მკერდზე სამოსი.

– მე არა მცია, ბუხართან გავთბი, მას შესცივდება და

ექიმებიც უჩხვლეტენ ნემსებს.

სხვა ბალლიც წარსდგა მხედრის წინაშე, მიმართა წინ მდგომს.

– იცი, ბიძია, ეს ხელთათმანი მამამ მაჩუქა, პირველად მეცვა. მომეცი ნება, რომ მას ვაჩუქო, ხელი გაითბოს, გაეთოშება.

პარტიზანები დგანან მდუმარედ, თვალიდან ცრემლი წვიმად ასკდებათ. ერთი პატარა გოგოც მოვიდა, კრძალვით ახედა ვეება ძიებს.

– აი, თოჯინა, მას წინო ჰქვია, არის კეთილი, არამტირალა. ამაზე კარგი რა გამაჩნია? მე ამას მივცემ, შვილებს აჩუქოს.

– მე მანქანა მაქვს, დედამ მიყიდა, შვილებს აჩუქოს, არ მენანება....

– მე რაკეტა მაქვს, სულ ახალია, მის ვაჟს აჩუქეთ, არ მენანება... და ბალებების მთელი რაზმი დაიძრა...

ერთი პატარა ბიჭი ცალკე დგას, ტირის პატარა და ძმებს შეჰყურებს. მიუახლოვდა მას პარტიზანი: – რა მოგივიდა, გცივა, პატარავ?

– არა, ბიძია, მე ვერ ვაჩუქებ ჩვენს მხსნელს ვერაფერს, გზაში დავკარგე სათამაშო და ჩემი კაკებიც გზაში შევჭამე, მშოიდა ძია.

– ეგ არაფერი...

– მე კივპირდები, რომ გავიზრდები, მის სისხლს ავიღებ, დავეფიცები.

– გმადლობ, პატარავ, გმადლობთ, ბავშვებო...

სიტყვა წაერთვა უშიშარ რაინდს.

მინას მიაბარეს ტყის ძმა კაცებმა და მადლიანი მინა ქართული გორად დაიდგა. ყვავილი არ სჩანს საფლავის თავზე, არცა გვირგვინი... აქეთ მანქანა, იქით თოჯინა, იქვე ხმალი, ბავშვის ბაფთები... მთელი მთა იდგა სათამაშობის.

ტყისკენ ნავიდნენ პარტიზანები, მდუმარე ჭყლეტენ
თოვლიან მინას.

„პარტიზანები ქარიშხლით ვვახშობთ,
ტყე არის ჩვენი ბინა, საფარი,
ვერ ყმუის რიხით ამ ტყეში მგელიც,
სიოც ვერ დაჰქრის დაუდეგარი. სიკვდილთან ერთად
გვძინავს და ვლალობთ,

პურსაც მასთან ვტეხთ, ერთად ვლოცულობთ,
პარტიზანები ჩვენს მინას ვიცავთ –
ქართველთა მოდგმის დიად საუფლოს...

ურითმო ლექსი სიმღერად იქცა, დარდით მიდიან პარტი-
ზანები, მათი სახელები ვუნყით? მათი საქმეა გამოსაჩენი
ბედმა ინება? ტყვიამ გაკოცოთ, სიკვდილსაც შეხვდით გა-
ღიმებულნი. კურთხეულ იყოს თქვენი ჯილაგი, ღმერთმა
გაკურთხოთ, იცოცხლეთ, ამინ.

ხატიმინდორა **(რითმული პროზა)**

რაჭაში, თლულში მიმავალ გზაზე, არის ადგილი, ხატი-
მინდორა, ედახიან და ალბათაც ახსოვთ ამ მცირე მდელოს
ეს ისტორია. და ეს ამბავიც ბებომ მიაგებო, თითქმის ლეგ-
ენდად გადაქცეული. აქ, ამ ადგილას, 37-ში დაუნგრევიათ
მათ ბაზილიკა, ხატნიც დაუნვათ ხელითუქმნელნი.

ხოტევის მკვიდრი, კოლექტიველი, ვინმე ვალიკო – ყო-
ფილი მწყემსი, განდიდებულა სულის ნაწყმედით, ჩეკისტად
ყოფნაც მოსწონებია.

ამბროლაურის ჩეკას ბრძანება გამოუცია, კონტრევი-
ლუციის მომხრეებს სასტიკად გასწორებია. ყველა მღვდელი
და სწავლული, ვინც სიმართლისთვის იღწვოდა, ხალხის
მტრად გამოაცხადეს.

ხატიმინდორას ალაგას, სად ბაზილიკა მდგარა, პატარა უფლის ჩიტივით, წმიდა ხატების ამარა. ლოცვად მოდიან რაჭველნი, ქედსაც იხრიან ხატებთან, მაცხოვარს შეავედრებენ ოჯახს, შვილებს და ქვეყანას. არც მღვდლის სახლი ჩვენამდე არავის მოუტანია, ვალიკო ჩეკისტს ერთ დღესაც „წვრთნად“ რომ აურჩევია. ათი არმიელი თან ახლდა, ალყა დაარტყეს უფლის სახლს, მღვდელი და დიაკონი ხალხის მტრად გამოაცხადეს. მუშებიც თანა ჰყოლიათ, ებრძანათ ტაძრის დანგრევა. მდუმარედ დგანან მუშები, თავებს ვერ სწევენ შიშითა, უფლის სახლს წერაქვს ვინ დაჰკრავს? სულს ვინ წარინწყმედს თავითა? ვალიკო გაბრაზებულა, შევარდა ტაძრის წიაღში, თავისი ხელით გამოაქვს ხატები, სალოცავები. ერთად დაჰყარა ეზოში.

– აბა, მღვდელი და შენც, ვინც ხარ, გიბრძანებთ კრემლის სახელით, ცეცხლი შეუწითე და დასწვით ეს თქვენი ხარახურები.

მღვდელი მუხლებზე დაემხო, ხატებს წმენდს ცხარე ცრემლითა. ხელნი ალაპყრო, შესძახა:

– ღმერთო, შეუხდე უგუნურთ. რასა სჩადიან, არცა უწყიან.

ვალიკო ნავთის ბიდონით თავზე დაადგა დამლოცველს, ერთი გესლითა შესცინა, ნავთი დაასხა ხატებზე. მღვდელი სიმარდით წამოდგა, შესძახა:

– შვილო, რას სჩადი? ღმერთს სცოდავ და სულს წარინწყმედ? შეჩერდი, ნუ გაშლეგდები.

მუშტი დაარტყა ვალიკომ, მინას დაეცა მოძღვარი. სისხლი სდის, ტკივილს არ იმჩნევს, ცრემლი სდის ფირცხლივ მდულარი. შემოუძახა ვალიკომ:

– ახლა გვირვენონ ხატებმა თავის ძალა, ბეხრეკო, ჯერ თავი გადაირჩინონ და მერე...

ფეხზე წამოდგა მოძღვარი, მიმართა მოძალადეს:

– შვილო, რას სჩადი? ვინ დაგიბნელა გონება? ამ ხატე-

ბის წინ მუხლმოყრით ლოცვას აღავლენდა ერობა, დიადი მამულიშვილნი და ჩვენი რაჭის გლეხობა.

ლიმილი ცასდა ვალიკოს, ასანთი ააბრდღვიალა, ნავთ-გადასხმულ ხატებზე ზედვე დააგდო და... ცეცხლი ჩაქრა. ჩგაბრაზებულა ჩეკისტი თავისნაქები, მეორედ სცადა, აან-თო და ცეცხლი გააჩალა. მერე მოძღვარსაც გახედა...

– ამას შეხედე, ტიალო, თურმე. ნახატნი ჰყოფილან, შუბ-ლსაც ორივეს გაგიხვრეტო, ხატებს დაგაკლავთ ღორივით.

შემდეგ მობრუნდა ჩეკისტი, ჯარისკაცთ შემოუძახა:

– აბა, მშრომელთა შვილებო, დრო დადგა შურისძიების და ეს მცონარა მოძღვარი ვაახლოთ შეებით „მამამის“. თოფი გამართეთ, მიზანში ჯერ დიაკონი და შემდეგ მღვდელი...

თოფინი გამართეს კაცებმა, „ვინტოვკა“ მხარზე დაიდეს, სროლას ვერ ბედავს ვერცერთი, კაცნი დედების ნაშობნი. ვალიკომ ხმალი იშიშვლა, ნიშანი მისცა მეომრებს.

– რაზმეულო, მზადყოფნა, დაუმიზნეთ... ცეცხლი...

მინას მონყვევით დაეცნენ ტანჯული წმინდა მამები, ეკლესია კი ანგრიეს, დიდ ქრისტიანთა ნაგები.

ერთი შლეგი შესწრებია ამ ამბავს, ჩუმად მდგარა დარ-ცხვენილი ბავშვივით, ვალიკოს კი მიეახლა ამაყად, ასე ჰკადრა:

– ერთხელ მაინც დამანახა სიმართლე, ან სიმართლის მომსახურე ზენა, ღმერთმა გვითხრა, იყავითო კაცები, ეშ-მაკს ენდეთ? გამოხვედით ტრაკები...

მიბეგვეს და გამოაგდეს ის შლეგი, გამარჯვების ტუში დასცხეს თავად.

თუ სხვას უნდა მსახურობდეს სიცრუეს, ოქროც ბევრი მოიხვეჭოს იქნებ, ნუ შემრისხავ მე უგნურს და ნუ დამსჯი, შენს სიმართლეს მამსახურე, ღმერთო.

ნათლობაში (რითმული პროზა)

– ნათლობას ვიყავ, ერთხელ, დიდ ტაძარში, მცირედ გვალოდინეს თუ დიდ ხანს, დროის გასაყვანად ეზოში გავედი, ტაძარს გარს ვუვლიდი დინჯად. ვტკბებოდი ქვათა ჩუქურთმებით, ხელით ვეხებოდი ქვასაც, ზედ საფლავებზე ისე ვალაჯებდი, გუმანში არა მქონდა არცა ჩირად. იქვე, ნანგრევებთან, მოხუცი დამჯდარიყო, ყავარჯენს დაყრდნობილი ხელით. ყველა იქა მყოფთ აკვირდებოდა ზვერვით. ალბათ, დავიღალე, დაჯდომა მომინდა, ალაგიც არსად სჩანდა საფერი და მეც მივუჯექი გვერდში იმ ბერიკაცს და „გამარჯობა“-თქო, ვუთხარი. არ მოუხედავს, პასუხი წამოსცდა, „გაგიმარჯოსო“, ძლივს გასაგონად, ხურდად მომიგდო, მგონი. კრინტი არ დამიძრავს, მუხლებს ვასვენებდი, ალბათ, დავიღალე ძლიერ, „ცოტა ხანს დავრჩები და მერე კი წავალ“, ფიქრმა გამიელვა უცებ.

– ვინა ხართ, ბატონო, აქ რამ მოგიყვანათ? მლოცველი არა ხართო, მგონი. – მკადრა მოხუცმა.

– არა, ბატონო, მლოცველი არა ვარ, ნათლობას მოვედი-თქო, მხოლოდ.

– თვალმოსეირე ჰყოფილხარ — დასძინა მძიმედ და დუნედ.

– თქვენ ვინ ბრძანდებით, ჩემო ბატონო? – კითხვა და-ვუბრუნე უმაღლ.

– ლოთი ვარ, აბა, ვინ ვიქნები? არაყში ვეძებო შველას.

– მერე თუ გშველით?

– არა, მე ვშველი, დარდთან ერთად მეც ვიძირებო შიგ. მხოლოდ ვერ გეტყვი, დარდს მე ვიქარვებ, თუ დარდი მიქარვებს, პასუხს ვერ გეტყვი მაინც.

– პოეტიც ჰყოფილხართ, ლამაზად გამოგდით სიტყვა კაზმული ენით.

– არა, ბატონო, სიმართლეს ვამბობ, სვეგამწარებული ბედიტ.

– ასეთი რამოხდა, არაყში რომ ახრჩობთ დარდებს?

– ვერ ვახრჩობ, მე თვითონ ვიხრჩობი, მძიმეა ეს სული ჩემთვის, დარდი კი თევზივით ბანაობს, თევზი არ იხრობა წყალში.

– წასვლის დრო მოვიდა, მშვიდობით ბრძანდებოდე – ვთქვი.

– ნათლავი ვაჟია თუ ასული? — დუნედ დამეკითხა მოხუცი.

– ვაჟია, ბატონო, პატარა ვაჟუკაცი.

– რას ანათლავთ მაგ თქვენს პატარას?

– ერისკაცობას, კარგ ქართველობას, პატიოსნებას, რიხს...

– პატიოსნების მსჯავრისთვის ნუ განირავთო ჩვილს, ერისკაცობა და ქართველობა მძიმე ჯვარია ღვთის.

– აბა, რას ამბობთ? მე თქვენგან მიკვირს, პატიოსნება ძირს?

– ხო, ჩემო ძმაო და ეს ასეა, ნუ გაიფიქრებ ძვირს. პატიოსანი კაცი თავს არ არგია და იარაღია სხვის. დიდი ყანებით კაცობას უქებენ და ჯიბეგახვრეტილი ზის.

– რას ბრძანებთ, ბატონო? თვით სიყვარული და პატიოსნება ნიჭია ბოძებული ღვთის.

– კამათი თუ გნებავთ, სიამოვნებით. ერთს გეტყვით, ბატონო, მხოლოდ. ადღეგრძელებენ პატიოსანს და შეუქებენ კაცობას, მოიხმარენ ფეხის ტილოდ, გათელავენ უნდობლად, როცა აღარ დასჭირდებათ, მოისვრიან იოლად. „პატიოსნების“ სინდრომისგან ბევრი დადის მშვიერი. „მდღეგრძელებელს“ ეს სინდრომი სჭირია, რათა მართოს კაცთა მოდგმა სინდისის ქიმერის ბორკილით. რას იზამ, ძმაო, ან ნათქვამია „ო, რა ბევრია ადამის მოდგმა და რა ცოტაა ადამიანი“.

მშვიდობა ვუსურვე, გავშორდი უეცრად ამ მოხუცს,

ლოთსა და ნანგრევებს. ნათლობადანწყებულზე შევედი ტაძარში, პატარა ღნაოდა საწყლად. შემდეგ კი ჯიპებით, ლიმუზინებით რესტორანს მივაშურეთ ყველამ. თამადამ დალოცა პატარა ქრისტიანი, მამის სადარი „პატიოსნება“ უსურვა ყველამ. „პატიოსან მეინახეთა“ ნადიმი ყალყზე დგებოდა, ღორს რომ დააბამ, იმ სისქის ოქროს ჯაჭვს ანდეს ნათლობის ჯვარი. მირონის წვეთები ჯერ არ შემშრალიყო, ცრემლივით სდიოდა ჯვარს.

– „დიდ კაცს და ერისშვილს! – ასე ვიცნობთო ნათლიას, შეხედეთ საჩუქარს, ნათლიას დიდება, დიდება მის „პატიოსან“ ოჯახს.“

ღვინო მომეკიდა, გამიწყრა ბუნება და თვალი გადავაავლე დარბაზს, ის ლოთი შევნიშნე მეზობელ სუფრაზე, თავისთვის მიირთმევდა კალმასს. გვერდით მივუჯექი, თავი შევახსენე ჯიქურ, იქვე, გვერდით მჯდომმა რიდით მომახსენა „ნათესავია ოჯახის, თანაც, მსახიობი, დიდი სახელით“. გაოცებული დავაშტერდი მის შავ თვალებს და მშვიდ სახეს ღიად.

„ღმერთო, შემეშალა, ეს ღვინის ბრალია, მომიტევეთ, ბატონო!“

„არაფერია და არც შეგშლიათ. მე ვარ ის ლოთი, ტაძრიდან, ერთ დროს მსახიობი დიდი ტიტულებით და ან უკვე ვალეებითო, ბატონო“

„თქვენ, ჩემო ბატონო, მაესტროც ყოფილხართ, თანაც, ხელოვანი დიდი, ჩემი გამასხრება რისთვისღა დაგჭირდათ, არ დაგადგებოდათ ამით ჯაფა დიდი.“

„არ მიმასხრია და არც ხუმრობით მომიცია პასუხი თქვენთვის. მრავალი ნილაბი მოვირგე სახეზე, მეფის ჯალათის თუ ვისი, ცხოვრებას ვერც ერთი ნილაბი ვერ მოვარგე, მომერგო ნილაბი ვირის. ვირივით ვიშრომე, ვითმინე ვირივით, პატიოსნებაც არ მაკლდა ვირის, ერთი მუჭა პური, ერთი პეშვი წყალი მყოფნიდა, სხვისი ტვირთი ვზიდე, სხ-

ვისი სახრე ვიზღე და არ ამაცდინეს არც ერთი. ალაღად ვემსახურე წმინდა ხელოვნებას, ტაშსაც უხვად მიძღვნიდნენ სცენაზე, მერე... მერე დავძაბუნდი, მასხარად ვიქეცი, ერთი მუჟა პური და ერთი პეშვი წყალი ყველას დაენანა სამადლოდ ჩემთვის. ჩემი ხელოვნებით სხვამ ფული იშოვა და მე მშვიერის მერგო დიდება, ისიც იფერფლება. „დიდების“ ქუხილი ჩემში ისევ ცოცხლობს, თუ ვინმეს ვახსოვარ, მე ჩემს თავს ვახსოვარ, უმალ მიმივიწყა ყველამ. პატიოსნებამ, შინაარსის გარდა, ფორმაც დაკარგა ჩემთვის.ხო, მე ლოთი ვარ, ასე ამბობენ, ზიზლით მიყურებენ ხანდახან. ეს ბოლო როლია ჩემი შესრულებით „პატიოსნება“ ჰქვია პიესას. აბა, კარგად იყავ, ჩემო მეგობარო, კარგ დროსტარებას გისურვებ. ბევრი არ დალიო, თორემ სიმთვრალეში ფარისეველის ნიღაბს აიკრავ. ფხიზელი თვალი გქონდეს და ფხიზელიგონება. იცოდე, დარდი და ნალველი არ იხჩობა, ის თევზზე უკეთ ცურავს წყალში.

კომა 1

– განმუხტვა! – განწირული ხმით უყვიროდა ექიმი სანიტრებს.

– პულსი არ აღინიშნება!

– მგონი, ვკარგავთ!

– დავით, ეს რა გვიქენი, რა დროს შენი... – ცრემლებმა სიტყვები წაუღეკეს მეუღლეს.

– ნუ გეშინიათ, ის ჯერ კომაშია, იმედი მაქვს, რომ ყველაფერი წესრიგში იქნება! – ამაოდ ცდილობდა ავადმყოფის მეუღლის დამშვიდებას ექიმი.

თვალუწვდენელი ველი გადაშლილიყო დავითის თვალწინ, თითქოს, ირიდას დედამინაზე აუჟღერებიაო ცისარტყელას ფერთა სიმფონია. წარმოუდგენელი ნეტარება

ეუფლებოდა გაოგნებულს, ყვავილთა სურნელის ამბოხი თავბრუს ახვევდა სტუმარს. წინ მკაცრი სტილით ნაგები ქვის გოროზი შენობა წამოემართა. კარიბჭეს მიუახლოვდა გოცნებულნი, შენობის იდუმალების მცველმა სტუმრის მოახლოვებას ტანის შესატყვისი სიღინჯით მიაგო პატივი და ბოლომდე გაიხსნა.

წყვილიანი ზეობდა ზღრუბლსიქითა სამყაროში. პირველმა ჩირაღდანმა დასდო პატივი მოსულს, ამოგიზგიზდა, სხვებმაც მიბაძეს მოთავეს. კოლონათა რიგი გარს ერტყა ოვალურ დარბაზს, მარმარილოს იატაკი უცნობ ფიგურათა დასით აჯანყებულიყო, კედლებზე ხატთა და ნახატთა გალერეა ავსებდა სიცარიელეს რელიგიური თემატიკის გამზიარებელი. ქერი ღრუბლის ფერად იყო ნაღები, მხოლოდ დიდრონი თვალი დაჰყურებდა დარბაზს გუმბათის ზენიტიდან, ლურჯად მოლივლივე. დარბაზში არავინ იყო. სიჩუმე მეფობდა ირგვლივ.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, ძე ხორციელო! – დავითი სწრაფად მობრუნდა და შიშნარევი მზერა შეავლო ახლოს მდგომ მოხუცს.

მოხუცი იღიმებოდა. მისი ცისფერი თვალები ადამიანურ სითბოს ასხივებდა. სანდომიანი სახე, მხცით მოსილი თავი და ბამბისფერი წვერი უსაფრთხოების და ნუგეშის უეჭველ დასტურად მიიღო შეშინებულმა.

– გამარჯობა, ძია კაცო! – ძლივს ამოღერღა დავითმა.

– კიდევ გაგიმარჯოს, სტუმარო! სახელი მიბოძეთ თქვენი.

– დავითი, დავით ანდრონიკაშვილი.

– ოჰო, თავადი ყოფილხარ. იერზეც გეტყობა გვარიშვილობა. მობრძანდი, თავადო.

დავითმა თვალი მოავლო დარბაზს და განცვიფრდა: ვეება დარბაზი გავსებულიყო ხალხით, ადამიანთა ბრბო კვნესა-ტირილით დადიოდა გარშემო.

– გიკვირს, დავით? გასაგებია. გამომყევი, აი იმ აივანზე ავიდეთ და მერე გეტყვი ამ ქაოსის სიბრძნეს, მე გეტყვი, სადა ხარ შენ, ვინ არის ეს ხალხი და რას წარმოვადგენ მე.

მოხუცი აივანზე გართხმულ ტახტზე დაბრძანდა. დავით-საც დაუდგეს სელი.

– შენ ერთადერთი ხორციელი ხარ აქ! – ბრძანა მოხუც-მა და განაგრძო, – ამ სახლის ბინადართ რომ უყურებ და აღიქვამ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. განა, სიზმარში ხორც-შესხმული მიცვალებული არ გინახავს? ისინი სხვადასხვა დროს გაეცალნენ ხორცს, მაგრამ მათმა სულმა ვერ იხილა ვერც სამოთხე, და ვერც... და, იცი, რატომ?

– არა! – მიუგო დავითმა.

– კარგი, მე პატარა ექსკურსიაზე წაგიყვან ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. შესაძლოა, ბევრი რამ გაუგებრად მოგეჩვენოს, მაგრამ ახსნა ყოველ მოვლენას გააჩნია.

შენობის უკან, დიდ მინდორზე სასაფლაო გამოჩნდა, თეთრი ობელისკები მრავალრიგად ჩამწკრივებულყევიან უკიდევანო ველზე, ხასხასა მოლი ბიბინებდა გარშემო, ფრინველთა ჟრიაშილი აყრუებდა გარემოს.

– წადი, დაათვალიერე, ნუ გეშინია! – მიმართა მოხუცმა და სასაფლაოსკენ მიანიშნა.

დააბიჯებდა დავითი ობელისკებს შორის და მათზე ამოტვიფრულ სახელებს კითხულობდა. უცებ გაშეშდა, მის წინაშე, საფლავის ქვაზე, ნაცნობი სახელი იყო წარწერილი, აგერ ერთი, იქით მეორე, ...მეათე...

– ისინი ხომ ცოცხლები არიან? – გაიფიქრა დავითმა.

შიშმა და გაკვირვებამ დაისადგურა მის სხეულში, ფითრმა გადაჰკრა სახეზე, სისუსტე იგრძნო დაოსებულმა.

– ნუ გიკვირს! – დინჯად ამეტყველდა მოხუცი, რომელიც შეუმჩნევლად ამოსდგომოდა გვერდში სტუმარს, – თითოეული მათგანის ცხოვრების შედეგია ეგ, მხოლოდ ზნეობა განსაზღვრავს მათ ადგილს ხორცთან გაყრის შემდეგ. ვინც

აქ დაკრძალულია, იგი მიწიერად ცოცხალია, მაგრამ მკვ-
დარია მიყვასისთვის, მათი გონება ბოროტების საწყისია
მხოლოდ, ზნეობა აღვირახსნილთა და უტიფართა აღლუ-
მია მიწიერად. თქვენ ამბობთ, რომ უზენაესმა განსაზღვრა
თქვენი გზა. ეს ნაწილობრივ სწორია. მან თქვენ სიცოცხლე
გიბოძათ და ურთიერთს ართმევთ, ნათელი გონება გინყ-
ალობათ, თქვენ კი ბოროტებას და ფარისევლობას ახმართ,
პური გიბოძათ და ჰყრით, უფლის მიერ ნაბოძებ სიცოცხლეს
დედის საშოშივე ჰკლავთ... – მოხუცმა ღრმად ამოისუნთქა
და განაგრძო – მხდალები ხართ და ამიტომ ჰქმნით იარაღს,
ვეითარდებითო, იძახით და ხორციელ აღვირახსნილობას
ცხოვრების წესად იქმნით, მოყვასსაცა ჰრყვნით თქვენზე
შემყურეს. სასწაული არსებები ხართ ადამიანები. თქვენს
თვალთ არეშია ის ყველაფერი, რის შეცნობასაც ლამობთ,
ყოველდღე გესმით ჭეშმარიტება და, მაინც, სიცრუის მორ-
წმუნენი ხდებით, ხელთა გაქვთ განძი და ხელმოცარულები
დადიხართ, ერთმანეთს ებრძვით და, საბოლოოდ, საკუთარი
თავის ტყვეობაში აღმოგხდებით სული, სიმდიდრეს იხვეჭთ
და, სულით გაღარიბებულთ, მერე გახსენდებით ღმერთი,
როცა მადლმოცარულნი წარსდგებით მისი სამსჯავროს წი-
ნაშე. ეკლესიაში თუ დადიხარ? – შეეკითხა მოხუცი უე-
ცრად.

– დიახ! – დუნედ უპასუხა დავითმა.

– ხატის წინ დანთებული სანთელი რა არის, ეს მაინც
თუ იცი, თავადო?– დაეკითხა მოხუცი, მაგრამ პასუხს არ
დაელოდა და განაგრძო – როგორ აგიხსნა? წმინდა სანთელ-
ზე დანთებული ალი კავშირია შენს გულისნადებსა და ხატს
შორის, რასაც გული ამბობს, იმას აღიქვამს ნათელი... თუ
აუგი გაქვს სულში, იმას სანთელში დაფლავს და ნაღვენთად
ჩაწურავს სასანთლეში, ხოლო წმინდა გრძნობას ხატს გა-
დასცემს მეოხებისთვის. ჯვარს ეცვა თქვენთვის მაცხოვარი
და თქვენ ჯვარს სამკაულად იყენებთ, ათასგვარ კულტებს

იგონებთ სიმართლისაგან თავის დასაღწევად.

სიჩუმემ დაისადგურა გარშემო. მოხუცს სახეზე ტანჯვა აღბეჭდვოდა. ცრემლი მორეოდა თვალთა სილურჯეს.

– რაც გითხარი, თუ გაიგე და გაითავისე, სტუმარო?

– გავიგე, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით? ან ის მაინც მითხარით, როგორ მოგმართოთ? – მორიდებით ამეტყველდა დავითი – ან ის ხალხი, დარბაზში, ვინ იყო და რატომ მოხვდა თქვენთან? ან მე რატომ ვარ აქ?

კითხვადასმულმა დაკვირვებით შეხედა პასუხის მომლოდინეს, განცდებს ჯერაც არ დაეტოვებინათ მოხუცის გონება, გრიგალის მოლოდინში გარინდებული ზღვისფერ თვალებს ჯერაც უტევდნენ ცრემლის ზვირთები.

– ჩემს სახელს არ გეტყვი ჯერ. მე დროჟამის მეჭურჭლეთუხუცესი ვარ, სახელად მოხუცო-თქო, ასე მომმართე. მხოლოდ „მოხუცო“, ასე აჯობებს, მგონი. ხოლო ისინი – ხელი გაიშვირა მოუცმა სახლისკენ, – საკუთარი წარსულის ხიზნები არიან, სინდისის ტყვეობა ერგოთ განაჩენად მათ, დასაბამიდან დღემდე იზრდება მათი რიცხვი ამ სახლში და დღეის შემდგომაც არ მოაკლდება ხიზნები აქაურობას.

ცოტა დაახანა მოხუცმა და განაგრძო:

– დავით, მისმინე, შეილო. ამ ადამიანებს მრავალი ცოდვა მიუძღვით მოყვასის წინაშე, მაგრამ სიკეთეც ბევრი აქვთ ჩადენილი. ზოგი ძალით, ზოგი კი ნებით ჩადიოდა იმ უზნეობას, რომელმაც მისი ანარეკლი სიცოცხლის კაბადონზე ან მოსპო, ან ფერთა ჰარმონია დაუკარგა, ან სულ გაამუქა, სიცოცხლის კაბადონს თქვენ აურას უწოდებთ. ყოველ თქვენგანს მიწიერი ცხოვრების დასაწყისშივე ენიჭება ის მისია, რომლის შესასრულებლაც მოევილინეთ ხორციელად ქვეყანიერებას, შესაბამისად თითოეულ თქვენგანში აირეკლება შესაბამისი ნიჭი და უნარი, რომელიც აუცილებელია მოყვასისთვის, მხოლოდ თქვენვე აღუმართავთ-ხოლმე ზღუდეს საკუთარ თავს, თქვენ ხომ სიყვარულიც კი

მარნუხების ტყვედ აქციეთ და მისი სიდიადე ადამიანური უმეცრების კანონებს დაუქვემდებარეთ. აბა, რა გითხრა? ბნელეთის მოციქულთა კასტა პატივისცემის ღირსად შერაცხეთ, სხვის საუნჯეზე აღზავებულნი, ხოლო მათი წოდების მიუხედავად, საუკეთესოსაც მათივე ნიშნით ადიდებთ. სხვას ემართლებით თვითონვე ცრუნი, სხვას ჰკლავთ და სხვისი ხელით მოკვდინდებით, ქალაქსა ჰმონებთ და ქალაქდითვე განიკითხებით, სიტყვით სჯით და სიტყვითვე მოგეგებათ. ამ სახლის მკვიდრნი სიცოცხლეში ჩადენილ ცოდვებსა ზღავენ, შვილო და არავინ უწყის, ღვთის გარდა, მათი ადგილი შემდგომ. სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ შენი აქ ყოფნის დრო იწურება, დავით. ის, რაც ნახე და გაიგე, თუ გაითავისებ, ამ აკლდამის ბინადრად ყოფას აიცილებ თავიდან. ახლა კი მშვიდობით, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

- როდის? როცა მე... – სიტყვა გაუნყდა დავითს.
 - არა! –ღიმილით მიუგო მოხუცმა ბევრად უფრო მალე,
 - ეხლა კი, დაუბრუნდი შენი სულის საჭურჭლეს.
 - პულის აღდგა, მგონი გადავრჩით.
 - წნევა სტაბილური ხდება!
 - სუნთქვა ნორმალურია...
- დავით ანდრონიკაშვილი სიცოცხლეს განაგრძობდა.

კომა 2

- ვინ ხარ?
- მე?
- ხო, შენ..
- მე თვალი ვარ.
- ვინ?
- თვალი და შენი „მე“...

- ეს ხუმრობაა, არა?
- არა. მე ვარ ის, ვისიც გეშინია, მე ვარ ის, ვისი დანახვაც არ გინდა და ხედავ. მე ვარ ის, რისი განცდაც არ გინდა და განიცდი, რასაც ეტრფი და ვერ სწვდები, მე შენი ცოდვა ვარ ტკბილი. მე შიში, ვარ შენში გამეფებული და ანარეკლი ვარ შენი.
- რას ბოდავთ, თუ იცით?
- არა, არ ვბოდავ! მე და შენ ერთნი ვართ, მე სხვათა „მე“-ც ვარ.
- ეს როგორ?
- ცხვრის ფარას ერთი ერკემალი მიუძღვის წინ.
- უკაცრავად, მაგრამ თქვენი იუმორი საკმაოდ მყიფეა.
- თქვენს რწმენაზე მყიფე?
- ნება მიბოძეთ, თქვენი თეორიები არ გავიზიარო, მაგრამ თქვენს მცდელობას, განათლებულ პიროვნებად წარმოაჩინოთ საკუთარი თავი, ვაფასებ.
- მართლა? საოცარია. რამდენადაც მახსოვს, თქვენ გუშინ ლექცია წაიკითხეთ სისხლის სამართლის კოდექსში შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით. ასეა, არა?
- დიახ.
- თქვენ ბრძანეთ, რომ არ ეთანხმებით კანონის იმ მუხლს, სადაც სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობითაა შეცვლილი. მართალი ვარ?
- მართალს ბრძანებთ.
- თქვენ ბრძანეთ, რომ შესაძლოა, ეს პუნქტი დარჩეს, მაგრამ გარკვეული კორექტივების შეტანის შემდეგ... და რომ...
- იცით, თქვენ არანაირი იურიდიული განათლება არ გაგაჩნიათ.
- გთხოვთ, ნუ მანყვეტინებთ, თქვენ ბრძანეთ, რომ კანონი განსაკუთრებით მკაცრი უნდა იყოს დაკვეთილ მკვლელობებთან დაკავშირებით... ის, რომ შემკვეთიც და შემსრუ-

ლებელიც სიკვდილით უნდა დაისაჯონ და რომ ...

– კი მაგრამ, მე რა შეხება მაქვს ამ აბდაუბდასთან, რა-
საც თქვენ ბრძანებთ?

– პირდაპირი.

– ??????????

– განა, თქვენ არ შეუკვეთეთ თქვენი შვილის მკვლელო-
ბა?

– რა ბრძანეთ?

– როგორ თუ რა? დღეს დილით, თქვენი შვილის მკვ-
ლელს საკმაოდ სოლიდური გასამრჯელო გადაუხადეთ
იმისთვის, რომ თქვენ მიერ გამოტანილი სასიკვდილო გა-
ნაჩენი სისრულეში მოეყვანა. მე მხედველობაში მყავს ექიმი
გინეკოლოგი.

– იცით, ეს მკვლელობა არ არის, ეს მხოლოდ სამედიცინო
პროცედურაა.

– მხრებს იჩეჩავთ? საოცარია, მაშ, რით განსხვავდე-
ბით მკვლელობის დამკვეთისგან? ისიც ფულს იხდის, რათა
მისთვის არასასურველი პიროვნება მოკლან. თქვენ არ
მეთანხმებით?

– თქვენ ან ინტრიგანი ხართ, ან ჯოჯოხეთის...

– დიახ, დიახ, მაგრამ მე ინტრიგანი არა ვარ. თქვენ
იურისტები, ფსიქოლოგები, საციოლოგები მეტ-ნაკლები
დატვირთვით ამტკიცებთ და წამოაყენებთ ჰიპოთეზებს
ადამიანური სისუსტეების დაძლევის და, საერთოდ, საყბედო
თეორიების კორიანტელს დააყენებთ-ხოლმე ლამაზ-ლამაზი
სიტყვებით გაჯერებულს და, იცით, ბატონო დავით...

– თქვენ არაადამიანი ხართ!

– კი მაგრამ, ვინ გითხრათ, რომ ადამიანი ვარ?

– აბა, ვინ?

– გახსოვთ მოხუცი? მე მისი ემისარი ვარ, ელჩი და თქვე-
ნი ანარეკლი, თქვენი სიმართლე. ნება მიბოძეთ, გავნაგრძო,
ოღონდ შევთანხმდეთ, რომ დისკუსია ჩვენ შორის მხოლოდ,

ასე ვთქვათ, სრულფასოვანი მინდა იყოს, თუ ჩემი იურიდიული განათლება სრულყოფას მოკლებულია, არა მგონია კონკრეტული ფაქტების ჩამოყალიბების დროს შეცდომა დაუშვა. მაშ ასე, თქვენ მიგაჩნიათ, რომ არ ხართ მკვლელობის დამკვეთი, ასეა, არა?

– დიახ.

– გთხოვ, შეხედოთ მონიტორს. კადრებს, რომელსაც თქვენ იხილავთ ამაზრზენია, მაგრამ ფაქტია და სიმართლეს მთელი სიცხადით წარმოაჩენს. მზად ხართ, სიმართლეს შეხედოთ თვალებში?

– მე ყოველთვის მზად ვარ სიმართლისთვის.

– აი, მესმის პათეტიზმი. გეცინებათ? შამწუხაროა, რომ თქვენი ღიმილი ჩვენი შეხვედრის ბოლომდე აღარ განმეორდება. დავინყოთ?

– დავინყოთ.

– შეხედეთ ეკრანს. ეს ჩანასახია, ბავშვია, რომელიც ჯერ არ დაბადებულა, დააკვირდით, იგი ბიჭია. ხო, მართლა, რა სახელის დარქმევას უპირებდით თქვენს სამედიცინო პროცედურას დაქვემდებარებულ შვილს? იქნებ, მითხრათ, თუ საიდუმლო არ არის.

– ირაკლის... ხო, ირაკლის დარქმევას ვაპირებდით.

– ოოო... ნუ ხართ ასე ნირწამხდარი. მაშ, ასე: თქვენ წინაშეა თქვენი ვაჟი ირაკლი და, როგორც ხედავთ, საკმაოდ მშვიდად სძინავს თქვენი მეუღლის მუცელში დააა...

– გამაგებინეთ, რისთვის გჭირდებათ ეს ყველაფერი? იქნებ, ეს შოუ საზოგადოების თვალში ჩემი დისკრედიტაციის წინაპირობაა? ან საწყისი ეტაპი ჩემი...

– მოითმინეთ, ბატონო! მოდით, მივყვეთ მოვლენების განვითარებას. აი, ეს თქვენ ხართ, ეს ქალბატონი კი – თქვენი მეუღლე. დააკვირდით, რა ამაყი სახე გაქვთ, ოღონდ თვალები პატივმოყვარე სალახანას მიგიგავთ. ესეც ექიმის კაბინეტი. მე ხმას ავუნწევ საუბრის მოსასმენად. გესმით? ეს

თქვენი „აქ, ჩემო ბატონო, 1000 დოლარია. იმედი მაქვს, ჩვენი ვიზიტის შესახებ იმფორმაცია ამ კედლებს არ გასცდება“ ახლა კი შოუს მიმდინარეობას მივყევით. ხომ არ დაიღალეთ, ბატონო დავით? ხა, ხა, ხა... აი, ეს სასჯელალსრულების ოთახი და ეშაფოტი, არა გილიოტინა. რა საოცარია! ერთ ოთახში თავი მოუყრიათ მსაჯულს, ჯალათს და სიცოცხლებოძებულისთვის ეშაფოტად ქცეულ სიცოცხლის სანყისს.

– რატომ მაყურებინებთ ამ სისაძაგლეს? განა, მხოლოდ ჩემით და ჩემი ოჯახით განისაზღვრება ანალოგიური მოვლენების მორალური თუ ზნეობრივი მხარეების აკკარგიანობა?

– არა! დააკვირდით, პროცესი უკვე დაიწყო. ალბათ, თქვენი მეუღლე ამ პოზაში დაფეხმძიმდა, რა პოზაშიც გინეკოლოგიურ სკამზეა წარმოდგენილი, არა?

– ეს ამაზრზენია. მე მოვითხოვ, გამორთოთ მონიტორი!

– არა, ბატონო დავით. თქვენ ბოლომდე შესვამთ ამ ფილას. კარგი ტანი აქვს თქვენს მეუღლეს. შეხედეთ! აი, მაშები, ტამპონები, კიდევ რალაც რკინეულობები, დააკვირდით, რა რუდუნებით აწყობს ექიმი მაგიდაზე. თვალეზზე ხელს ნუ იფარებთ და მოუსმინეთ!

– თქვენ მშვენიერი სხეული გაქვთ, ქალბატონო.

– გეყოფა. ისე ჰქენი, რომ კიდევ არ დავრჩე ფეხმძიმედ.

– კარგი. მშვენიერი ხარ, ჩემო ძვირფასო.

– ნელა... მტკივა,.. ძუძუზე მომეფერე.

– შენი დეგენერატი ქმარი რას ფიქრობდა, ჩემთან რომ მოჰყავდი?

– მიდი, ნუ ჩერდები. ვაი, რა კარგია...

– სიცოცხლეო.

– მიყვარხარ.

– მორჩა.

– ჰო, მორჩა.

– ახლა, საქმეს მივხედოთ. შენმა ახლანდელმა ქმარმა

სოლიდურად გადამიხდა.

- პირველი შენ იყავი, დაგავინყდა?
- მერე, იცის?
- არა, რა საჭიროა. "...
- გესმით, ბატონო დავით, ეს რა ფაქტები სკდება?
- ეს ტყუილია.
- რა გაღრიალებს? თქვენი თავმომწონე მეუღლე მთლად წმინდანი არ ყოფილა, მეთანხმებით?
- გთხოვთ, გამათავისუფლოთ ამ, ამ...
- სიტყვებს ვერ პოულობთ? გავნაგრძოთ ყურება. აი, მამები როგორ შედიან დედის საშოში, შენი შვილი სიცოცხლისთვის იბრძვის, შეხედე, მორალისტო.
- ღმერთო...
- ეხლა არა? შეხედე, დაიჭირა, დააკვირდი, მკვლელო, შენ მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულების პროცესს.. შეხედე!
- ღმერთო, შემიბრალე.
- ტყუილად უხმობ. გათავდა. მოკვდა. განაჩენი აღსრულებულია.
- გთხოვთ, გამორთოთ.
- რატომ? დააკვირდით თქვენს ბედნიერ სახეს და თქვენი მეუღლის ზნემაღალ, ოდნავ შეურაცხყოფილ სიფათს, რქებიც რომ დაგადგა. პირველ ქმართანაც ისიამოვნა, შვილიც მოკლა, თავის რქიან ქმარს უცოდველი კრავივით ჩაბარდა და ეს ყველაფერი ნახევარ საათში! სარეკორდო დროა.
- იქნებ, ახლა მაინც გამორთო. მეყოფა! ხოლო იმ ჩათლახს კი დედას მოვუტე..
- დედის რა გითხრა, მაგრამ თუ შენს ცოლს მოტ.... ისიამოვნებ მაინც.
- დამცინი?
- არა, მეცინება მხოლოდ.
- დამპაალი. მე ვარ იდიოტი, ყურებამდე ვიყავი მასზე

შეყვარებული და რა მერე?

– რა მერეო? საოცარია? თქვენ ხომ კარიერა თქვენი მეუღლის, უფრო სწორად, თქვენი სიმამრის მეშვეობით გაიკეთეთ? დაგავინყდათ? ლამის, უკანალში რომ უძვრებო-დი და, ალბათ, უკანალსაც მიართმევდი, საჭირო რომ გამხ-დარიყო. აი, შედეგიც: თქვენი ცოლი ბოზი, ხოლო თქვენ კი – იდეური გეი. მართალი ვარ?

– საიდან დაიწყო ეს ყველაფერი?

– სიმართლე გსურთ, გაიგოთ? მე გეტყვით. ვაშლიდან! ნუ მიყურებ ასე გაშტერებული! ხო, ვაშლიდან და მხოლოდ ვაშლიდან.

– რომელი ვაშლიდან? თქვენ რა, შეიშალეთ?

– არა. მე გეუბნებით, რომ ეს ყველაფერი დაიწყო ევას ვაშლიდან.

– ალბათ, ის მაცდურიც ანუ უფრო სწორად ის ...

– შესაძლოა, მაგრამ მე მას მხოლოდ ვაშლი მივანოდე და მეტი არაფერი.

– ესე იგი, თქვენ აცდუნეთ, ასეა?

– გახსოვთ, როგორ შეიქმნა ევა?

– რასაკვირველია.

– ცნობილია, რომ ევა ადამის ნეკნის წყალობით მოევ-ლინა ქვეყანას, ასეა, არა?

– დიახ.

– თქვენ თუ იცით, რას ნიშნავს ნეკნი?

– ალბათ, მხოლოდ ძვალს.

– გეცინებათ? ნება მიბოძეთ, აგიხსნათ. ალბათ, გსმე-ნიათ ტერმინები, როგორიცაა ინფორმაციის გაცვლა, ინ-ფორმაციის მიღება და სხვა. იგი ხორციელდება დისკეტის, კასეტის ან სხვა რაიმე მსგავსი საშუალებებით. მეთანხმე-ბით?

– ამით რისი თქმა გსურთ?

– იმის, რომ ეს ნეკნი ის განსაკუთრებული ინფორმა-

ციაა, რომელიც ევას შექმნას დაედო საფუძვლად. ადამი ყველა ადამიანური სისუსტის და ძლიერების მატარებელი იყო, მაგრამ იგი მხოლოდ სრულყოფის ერთ ნახევარს წარმოადგენდა, საჭირო იყო მეორე ნახევარი, რომელიც მას განავრცობდა.

– ვერ გავიგე?

– გიხსნით. ადამში მთელი ადამიანური დომხალი იყო თავმოყრილი. აუცილებელი იყო მათი განცალკევება. ადამი ძლიერი სქესის წარმომადგენლად მოგვევლინა, ევამ კი სუსტ სქესს დაუდო დასაბამი. ადამის სისუსტე მისივე სიძლიერეში გამეფდა, ხოლო ევას ძლიერება – მისსავე სისუსტეში. ასე შეიქმნა ორი სანყისი, ორი ურთიერთმანონასწორებული ფენომენი.

– თქვენ თემას გადაუხვიეთ. მე გეკითხებით, თქვენ აცდუნეთ ევა?

– არა. მე მას მხოლოდ ვაშლი მივანოდე. თვითონ ვაშლი... ეს როგორ აგიხსნათ? ავიღოთ დისკეტი, რომელზედაც ინფორმაციაა ჩანერილი. იგი, კომპიუტერის გარეშე, გამოუყენებელი ნივთია. საკმარისია, რომ, დისკეტი კომპიუტერში ჩავდოთ და შესაბამის ლილაკს შევეხოთ, რომ იგი დაიწყებს ინფორმაციის მონოდებას. ასე რომ, ადამი და ევა დისკეტებად მოგვევლინენ, ხოლო ვაშლი – კომპიუტერად. მე მგონი, საკმაოდ მარტივად აგიხსენით?

– თქვენ მართლაც ზნედაცემული ანგელოზი ხართ.

– მე ანგელოზი მაინც ვარ, თქვენ კი ვინ ხართ, ის მაინც თუ იცით?

– მე ვარ ...

– ნაქსოვი მგელი.

– რა ბრძანეთ?

– ნაქსოვი მგელი.

– ვერ განმიმარტავთ ამ ტერმინის შინაარსს?

– სიამოვნებით. თქვენგან ძლიერმა ამა სოფლისამ მგელი

მოქსოვა და, თუ მის წინააღმდეგ ან, უფრო სწორად, მისი სურვილის შეუსაბამო ერთ ნაბიჯსაც გადადგამთ, თქვენგან ბატკანს მოქსოვენ ან ქათამს. ეს სიტუაციაზეა დამოკიდებული.

– მე არავითარი ნაქსოვი მგელი არა ვარ. მე პროფესორი დავით ანდრონიკაშვილი გახლავართ.

– რომელიც, ბოზი ცოლის ნათესავეების წყალობით, საზოგადოების თვალსაჩინო წევრი გახდა?

– თქვენ გნამთ რაიმე ამ ქვეყანაზე?

– რასაკვირველია.

– მე მორწმუნე ვარ.

– მართლა?

– დიახ და მე ვამაყობ ამით.

– საოცარია. რამდენი რელიგია არსებობს, ეს მაინც თუ იცით, პროფესორო?

– ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი...

– შესანიშნავი. ერთი შეკითხვა მინდა დაგისვათ, თუ შეიძლება?

– ბრძანეთ.

– რატომ ხდება, რომ ერთ სარწმუნოებას მრავალი განხრა გააჩნია?

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად, არსებობენ შიიტები, ვაჰაბიტები, ფუნდამენტალისტები და კიდევ ვინ მოსთვლის, მაგრამ ისინი, ყველა, მუსულმანები არიან. ნუთუ, ისლამი, რომელიც მუჰამედმა იქადაგა, ასე მრავალმხრივია... თუ ყურანია ესოდენ ფართომასშტებიანი?

– ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

– ნებისმიერ რელიგიას, მე მხედველობაში მყავს მსოფლიო რელიგიები, გააჩნიათ განხრა, სხვადასხვა მიმართულება, სხვადასხვა რიტუალი, თუმცა, ღმერთი ერთი ჰყავთ. ის, რაც არ მოსწონთ შიიტებს, მოსწონთ ვაჰაბიტებს და ის,

რაც მოსწონთ კათოლიკებს, არ მოსწონთ პროტესტანტებს. რაშია საქმე, ნეტავ?

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ თითქმის ყველა რელიგიას თავისი მიმართულებები გააჩნია და ეს თქვენთვის მიუღებელია?

– ჩემთვის სულერთია, მაგრამ შენი, ადამიანის, აზრი მინდა გავიგო.

– მოგახსენებთ, რომ თითოეული რელიგიის ფუძემდებელს ჰყავდა მონაფეები, მიმდევრები, რომლებმაც შემდგომ, სხვადასხვა ქვეყნებში, იქადაგეს და, ჩემი აზრით, თითოეულმა ერმა ესა თუ ის რელიგიური მოძღვრება საკუთარ ეროვნულ მენტალიტეტს მოარგო და მისი მიმდევარი გახდა.

– თქვენ ასე ფიქრობთ?

– დიახ. ყოველ შემთხვევაში, ისე მიმაჩნია.

– ესე იგი, მონაფეებმა, საკუთარი ინტერპრეტაციის წყალობით და ამ თუ იმ ქვეყნის ეროვნულ მენტალიტეტზე დაყრდნობით, შექმნეს მოძღვრება და ის იქადაგეს? მე მგონი, ასე ბრძანეთ?

– დიახ, ასეა.

– იქნებ, ამიხსნათ, რომ ევროპის ქვეყნებში რელიგიური რიტუალები დღეს უფრო მოდურ სცენებად, ასე ვთქვათ, შოუს ემსგავსება, ვიდრე ისლამურ ქვეყნებში და, ასევე, მუსულმანი თითქმის შესისლხორცებულია ყურანთან ე.ი. საკუთარ წმინდა წიგნთან, ვიდრე ქრისტიანნი განვითარებულ მსოფლიოში?

– მიმაჩნია, რომ ცდებით. თქვენთვის ხომ ნებისმიერი საეკლესიო რიტუალი მიუღებელია და არასასიამოვნო.

– რატომ გგონიათ ასე?

– იმიტომ, რომ თქვენ მაცდური ხართ, თქვენ უარყოფილი ხართ.

– კი მაგრამ, თუ მე უარყოფილი ვარ, რად მემსახურე-

ბით? მართალია, არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ თქვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე?

– ამით რისი თქმა გასურთ? რომ ჩვენ თქვენი მეხოტბენი ვართ?

– არა. უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩემეული ცხოვრების წესის გამზიარებელი და ამით თქვენ ჩემი მსახურნი ხდებით.

– მე არ გეთანხმებით და მიმაჩნია, რომ ეს თქვენი ერთ-ერთი ტრიუკია, ჩემს ცნობიერებაში თქვენი შეღწევისა და ჩემზე თქვენი არაჯანსაღი გავლენის მოპოვებისათვის.

– კარგი. თქვენი აზრით, რა არის ფული?

– როგორ განგიმარტოთ? მეცნიერულად, ეკონომიურად თუ მისი, როგორც ცხოვრებისეულად აუცილებელი ატრიბუტის, ზნეობრივი მხარის განსაზღვრით მივუდგეთ საკითხს?

– აი, ეს ას ლარია. შეხედეთ, მე მას დავწვავ და იგი ფერფლად გადაიქცევა. აი, ეს ფურცელიც, რომელიც მის გვერდით დავწვი, ისიც ფერფლად იქცა. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ერთი ორიოდ წუთის წინ ასლარია იყო, ხოლო მეორე კი – სუფთა ფურცელი. რაც შეეხება შედეგს, ორივე ფერფლია, მტვერი.

– ბოდიშით, მაგრამ მე თქვენი, ასე ვთქვათ, ექსპრიმენტის შინაარსი ვერ გავიგე.

– თუ, არ გაიგეთ? ფული, ეს ჩემი მართვის ბერკეტია. თქვენ ფულის მოპოვების სხვადასხვა მეთოდს იყენებთ. მართალია, მედალს მეორე მხარეც აქვს. ფული პიროვნების ერთგვარი მსაზღვრელია. მაგალითად, არსებობს პატიოსანი შრომით მოპოვებული ფული, მოპარული, დაყაჩაღებული და სხვა, აქედან გამომდინარე, ფულიც სხვადასხვა გვარის არსებობს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვინ როგორ მოულობს მას.

– თქვენ გინდათ, თქვათ, რომ ფულის მეშვეობით თქვენ

გავლენას ზრდით კაცობრიობაზე?

– შეიძლება, ასეც ითქვას. იცით, ფრაზა „ფულს სუნი არ აქვს“ ჩემგან მოდის. იგი თითქოს გამართლებაა ადამიანის ნამოქმედარის და ამ შეგონებას დიდ რეკლამას უწევს ხელოვნების ყველაზე პოპულარული ჟანრი – კინო-მატოგრაფია, მაგალითად, ფილმები ბანდიტებზე, ყაჩაღებზე, მაფიაზე, მეძავეებზე და სხვა მრავალი... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

– იცით, თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კაცობრიობა თქვენს არარსებობაში დაარწმუნეთ.

– არ გეთანხმებით. თქვენ, ადამიანები, ხანდახან ისეთ საქციელს სჩადიხართ, რომ დამერწმუნეთ, მეც ვოცდები.

– მაგალითად?

– მაგალითად, ისტორიები თუნდაც თქვენ შესახებ. მონიტორი ხომ არ ჩავრთო?

–

– დავუბრუნდეთ თემას „ფული“.

– თქვენთვის ფულის ცნებას ერთობ არასახარბიელო განმარტება ახლავს.

– რატომ? მე მგონი, პირიქით.

– იმიტომ, რომ ფულით წმინდათაწმინდა საქმეებსაც აკეთებენ ხალხისთვის, ერისთვის, ქვეყნისთვის სასიკეთოს.

– მერე და, ჩვენ ორს შორის ან ჩვენ გარშემო ხედავთ ასეთ ადამიანებს აქ, ამ წუთში?

– აქ მარტო ჩვენ ვართ.

– ხოდა, ამიტომაც ვართ ერთად მარტო მე და თქვენ ახლა აქ, ამ წუთში და შეიძლება მერეც.

– თქვენ გავიწყდებათ, რომ ფულით წმინდა სანთელსაც ყიდულობენ.

– გეთანხმებით, მაგრამ განსხვავება პატიოსანი და არაკაცობით ნაშოვნი ფულით ნაყიდ სანთელს შორის ის

არის, რომ პატიოსანი კაცის დანთებული სანთელი ლოცვას ემსახურება, ხოლო არაკაცის – მხოლოდ განათებას.

– იცით, მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენ ჩემგან ყოველმხრივ უარყოფითი პიროვნება დახატეთ და ამით თქვენ გსურთ, რომ ჩემზე აბსულუტური ზეგავლენა მოიპოვოთ?

– რატომ გგონიათ? ან იქნებ ფიქრობთ, რომ ყველა ის საკითხი, რაზედაც ჩვენ ვისაუბრეთ, საკმარისია აბსულუტური ზეგავლენის მოსაპოვებლად თქვენზე? მე შეგახსენებთ „ყოველ სიკეთეში არის ბოროტება, ყოველ ბოროტებაში არის სიკეთე“.

– თქვენ შესანიშნავად ლავირებთ.

– ერთი წუთით, ბატონო დავით! თქვენ ბრძანეთ, რომ მორწმუნე ბრძანდებით. მართალი ვარ?

– დიახ.

– თქვენ ბრძანეთ, რომ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვცდილობ, თქვენზე ზეგავლენის მოპოვებას. მეთანხმები?

– დიახ.

– მე რომ დაგიმტკიცოთ, რომ თქვენ უკვე ჩემი მსახური ხართ, მიწამებთ მე?

– არა

– თქვენ გგონიათ?

– თქვენ მე ვერ დამამარცხებთ, როგორც...

– მორწმუნეს?

– დიახ.

– მცნებები თუ იცით, პროფესორო?

– ვიცი.

– მაშინ დავინწყით: არა კაც ჰკლა და თქვენ მოჰკალით! არა იმრუშო და მრუშობ! არა იპარო და იპარავ! არა ცილი სწამო და თქვენი წარმატებული კარიერის ქვაკუთხედი ცილისწამებაა! პატივი ეცი დედასა და მამასა შენსა და

ამხელა ფულის და გავლენის პატრონს 5 წლის წინ გარდაცვლილი მშობლების საფლავი წელიწადში ერთხელ თუ გაგახსენდებათ...

– მე ვაცხადებ, რომ მიუხედავად თქვენი არგუმენტებისა, მე არ ვარ თქვენი მსახური და არც ლუკმა და, რომ მე...

– შენ ხომ ფული გაიხადე ღმერთად?

– არა.

– თქვენ ხომ ყველაფერზე თვალს ხუჭავთ. ყოველ სიმდაბლეზე, სიბილწეზე, არაკაცობაზე?

– არა.

– თქვენ უკვე ტირით და თან ყვირით?

– განვედ ჩემგან!

– მე? ჰი, მაგრამ თქვენ მეთხელით მე და ეხლა მეუბნებით განვედო?

– განვედ ჩემგან!

– გახსოვს სასაფლაო?

– განვედ ჩემგან!

– შეხედე, აი, იმ საფლავს, რომელსაც თხრიან! შეხედე, გიბრძანებ!

– მერე, ამით რა გინდათ თქვათ?

– შენ შენი უზნეობით თავი უკვე დაიმარხე. აი, იქ შენი საფლავი იქნება, თეთრი ლოდიც, თეთრი მარმარილოს ლოდიც შენს სულიერ განსასვენებელს დაამშვენებს.

– განვედ ჩემგან!

– შენ მეყმე და მე პატივი მოგაგე...

– განვედ ჩემგან!

– შენ მიმიღე და მე დაგიფარე...

– განვედ ჩემგან!

– შენ ხელი გამომიწოდე და მე მოველ...

– განვედ ჩემგან!

– რატომ?

– შენ უღმერთო ხარ.

– მე რომ წავიდე, შენ ყველაფერს დაჰკარგავ და შემდეგ ქვის სასახლის ხიზანი გახდები, შენი საკუთარი სინდისის ტყვე, შენი მსაჯულნი შენივე შვილები იქნებიან, შენ და შენმა ბოზმა ცოლმა სამედიცინო პროცედურებს რომ დაუქვემდებარეთ.

– განვედ ჩემგან!

– თუთიყუშო!

– განვედ ჩემგან!

– ლოცვა მაინც თუ იცი?

– განვედ ჩემგან!

– მე სული ვარ შენი და, რომ „განვიდე“, მოკვდები.

– არა! მე ცოდვებს მოვინანიებ!

– რისთვის? იმისთვის, რომ ხელახლა შესცოდო?

– რა გინდა ჩემგან? განვედ ჩემგან!

– ვისი ან რისი იმედი გაქვს, ნეტავ?

– მოხუცო, მიხსენ.

– საოცარია, შენ მოხუცს უხმე? რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ იცნობ? ალბათ, ძველი ნაცნობობის იმედი გაქვს, ასეა?

– განვედ ჩემგან!

– ჰა, ჰა, ჰა...

– გაეთრიე ჩემი ცხოვრებიდან!

– მხოლოდ იმიტომ, რომ ხელახლა მეახლო?

– რა გინდა ჩემგან?

– ალბათ, ეს ფრაზა „განვედ ჩემგან“ სადღაც გასმენიათ და იმიტომაც იმეორებთ ასე თავგამეტებით.

– განვედ ჩემგან!

– შენ უკვე სტირი, კანკალებ და თანაც გეშინია, პირდაპირ აყვანილი ჰყავხარ შიშს. შენ ჩემი კი არ გეშინია და, მე რომ მხედავ, ის კი არ გაკანკალებს, არამედ ის, რომ პასუხს მოგთხოვენ შენს ცოდვებზე და შენს ნამოქმედარზე. აი, ეს გაშინებს და გაკანკალებს. მე წავალ ეხლა, მაგრამ,

- თუ კიდევ მიხმე, მაშინ, ვაი, შენ. გაიგე?
- გავიგე. გთხოვთ გამათავისუფლეთ.
 - კი, მაგრამ მე თქვენ ბორკილი დაგადეთ?
 - არა.
 - თანაც გიკვირთ, რატომ ხართ მილურსმულივით მაგ სკამზე, არა?
 - საოცარია.
 - რა?
 - მე ხომ არაფრით არ ვიყავი დაბმული და მაინც ვერ ვმოძრაობდი. რატომ?
 - იმიტომ, რომ შენი პირით მე შენს სულს ველაპარაკებოდი და არა სხეულს.
 - მე მოვკვდი?
 - ზეციურად სულთმბრძოლი ხარ და მიწიერად ცოცხალი.
 - მე თავისუფალი ვარ?
 - რისგან ხარ თავისუფალი?
 - თუნდაც, თქვენგან.
 - შენ ჩემგან ვერასოდეს განთავისუფლდები.
 - აკი, გაპატიებო, მითხარით?
 - რომ გითხრა, მოგატყუე-თქო, რას იზამ?
 - თქვენ ამას არ იზამთ, ხომ?
 - გეშინია. ჰა, ჰა, ჰა...
 - რატომ იცინით? თქვენ ხომ დამპირდით?
 - მერე? შენ ჩემი დაპირების მიხედვით გინდა თქვა, რომ ჩემგან გათავისუფლდი?
 - თქვენ მე დამპირდით!
 - რას?
 - ცოდვების მოტევენას.
 - მე, ცოდვილთმპყრობელს, ცოდვების მოტევენას მთხოვ ზნედაცემულო?
 - თქვენ უსინდისო ხართ.

– არა. იმიტომ, რომ მე პასუხს შენი ნამოქმედარის მიხედვით მოგთხოვ, ეს ფაქტი კი შენ გაშინებს. შენ ხომ შენი მომავლის გეშინია.

– რა გინდათ ჩემგან?

– „მამაო ჩვენო...“ თუ იცი, პროფესორო?

– მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

– დავით გაიღვიძე! რა მოგივიდა? მთელი ღამე ბორგავ.

– სადა ვარ?

– საძინებელში. ჩემ გვერდით.

– მე თავისუფალი ვარ.

– შენ სულ შეიშალე.

– მოკეტე, ქალო! ნერვებს ნუ მიშლი.

– შენ ხომ არ გავიწყდება, მე ვინ ვარ?

– დედაკაცი, მხოლოდ დედაკაცი, შენი დედაა...

კომა 3

– გამარჯობა, ჩემო „მე“.

– შენ აქ საიდან გაჩნდი?

– გიკვირს? არ მეგონა, თუ რაიმე გიკვირდა ამ ქვეყანაზე.

– ხომ გითხარი, ხშირად ადამიანები ისეთ რამეს სჩადიან, რომ კი არ გიკვირს, გაცუებისაგან რქებიც გეტოტება კაცს.

– მომწონს.

– რა მოგწონს?

– გატოტვილს რომ გნახავ.

– ძმურად, ნადი აქედან, სანამ დროა.

– მე შენთან სალაპარაკოდ მოვედი.

– რომ მოხვედი, ვხედავ, მაგრამ გზას როგორ მოაგენი? ან ვინ მოგასწავლა ჩემი სამყოფელი?

– თვითმკვლელი ან თვითმკვლელობის მცდელი პირდაპირ შენთან ხვდება. ყოველ შემთხვევაში, ასე ამიხსნეს და მეც მოვედი.

– შენ რა, თავი მოიკალი?

– არა, სოკო ვჭამე.

– რა ჰქენი?

– რა და გაფუჭებული სოკო ვჭამე არაყნით. ახლა, ალბათ, საავადმყოფოში ვარ, რეანიმაციის განყოფილებაში და ექიმები თავდაუზოგავად იბრძვიან პროფესორ ანდრონიკაშვილის გადასარჩენად.

– იცი, იდიოტი მინახავს, მაგრამ შენნაირი ჯერ არა.

– რა იყო, გატოტვა ხომ არ დაგენყო?

– მოიცა, დასარეკი მაქვს.

– გაოცდი, ჩემო პატარა ეშმაკუნაა?

– ღმერთო, ყველა იდიოტი ჩემთან როგორ უნდა ხვდებოდეს?

– თქვენ სცდებით.

– მე ახლავე მოვალ.

იგი ნამოდგა სავარძლიდან და ჩქარი ნაბიჯით ტელეფონისკენ გაემართა.

„იგი“ ხომ მე ვარ... მისმინე! ერთი კრეტინი წევს რეანიმაციაში... ხო, ანდრონიკაშვილი... „იგი“ ჩემკენ მოტრიალდა, თავი გააქნია და ღიმილით გააგრძელა ბაასი ვილაცასთან. „არა, ჯერ ამის დრო არ არის... ხო, ინვალოს... ფულიც აქეთ... რამდენი მილიონი პენიცილინი?.. მაგას ერთი ჰექტარი არ ეყოფა... ხო, კაი, მიხედეთ... კაი, კაი...“

„იგი“ ყურმილის დასადებად მოემზადა. იქედნურად შეხედდა ბატონ დავითს.

– ერთი ჰექტარი.. და მილიონი პენიცილინი, აუ, რას დაგიცხრილავენ ერთ ადგილს.

– განა, ეს სასაცილოა?

– სასაცილოა, აბა რა? იდიოტო, ჩემთან შესახვედრად

ამხელა რისკი გასწიე და, ახლა რომ „პრიმოი ნავოდკოით“ უკან მიგაბრძანებ, ის კი არ იცი და..

– თქვენ ამას არ იზამთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არა.

– რაა?

– მე თქვენ დებატებში გინვევთ.

– ხო, მაგრამ რისთვისაა ეს დებატები საჭირო? მე პოლიტიკოსი არა ვარ, რომ პოზიციები ვაფიქსირო, თანაც, არჩევნები უკვე ჩატარდა. რაც შეეხება დეპუტატებს, საერთოდ, პოლიტიკოსებს და სხვა ამ ჯიშის ადამის ძეთა, მთელი არმია მემსახურება დედამინაზე...

– მე თქვენთან სასაუბროდ მოვედი.

– არ გინდა, სათქმელი დამამთავრებინო? კარგი. რისი გაგება გსურთ ჩემგან, პროფესორო?

– როგორ გითხრა...

– პირდაპირ.

– კარგით! თუ შეიძლება, მე შეკითხვებს დაგისვამთ, თქვენ კი მიპასუხეთ, შევთანხმდით?

– მომისმინეთ. ჩვენი საუბრის სანყისი ეტაპი ჩემთვის თამაში იყო, თუმცა, აღფრთოვანებასაც არ ვმალავ თქვენი საქციელის გამო, მაგრამ გაფრთხილებთ, ზედმეტის უფლებას ნუ მისცემთ საკუთარ თავს. ეს შეიძლება თქვენთვის ცუდად დამთავრდეს, გასაგებია?

– მესმის, მაგრამ მე სახუმაროდ არ ჩამიდენია ის საქციელი, რამაც თქვენამდე მომიყვანა. შესაძლოა, მსგავსი პრეცედენტი არასოდეს გქონიათ, მაგრამ გთხოვთ, ჩემს შემთხვევაში დაუშვით გამონაკლისი.

– კარგი. გისმენთ. ერთი წუთით! ჩვენს საუბარს კითხვა-პასუხის ფორმა ექნება თუ დიალოგის?

– ალბათ, კითხვა - პასუხის .

– შევთანხმდით.

– რას წარმოადგენს ჯოჯოხეთი?

„იგი“ დაფიქრდა. ოდნავ დაიძაბა.

– აგისსნი. – გაბრაზებული ხმით ალაპარაკდა „იგი“ – თქვენ, ალბათ, გგონიათ, რომ აქ კუპრის ქვაბები დგას, ან ვინმეს ჩალაღაჯივით წამოვაცემთ შამფურზე და ნელ ცეცხლზე ვწვავთ. ეს ასე არ არის. კიდევ ბევრ სისულელეს ამბობენ ჩემს საუფლოზე, მაგრამ სისწორეს არ შეესაბამება.

– მაშ, როგორია იგი?

– ადამიანი, სიკვდილის მერე, მხოლოდ ხორციელად ყოფას ემშვიდობება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი უსხეულოდ რჩება. წარმოიდგინე: შენი, ადამიანის სხეული, შედგება სისხლისგან, ხორცისგან, ნერვებისგან და ასე შემდეგ. ეს ის ფენომენია, რომელსაც შეუძლია, აღიქვას სიმწარე, ტკივილი, ავადმყოფობა. გარდაცვალების შემდეგ ეს ყველაფერი შორდება ადამიანს. აქედან გამომდინარე, ვერც კუპრი და ვერც ცეცხლი მას ტკივილს ვერ მიაყენებს. მე მხედველობაში მაქვს სული.

– კი, მაგრამ...

– ვიცი, ასე გასწავლიან... პირველ ყოვლისა, გარდაცვლილის სული იმ ცოცხლებს ეკონტაქტება, ვისაც იცნობდა, ვინც უყვარდა ან სძულდა. როგორ გითხრა?... შენ მიერ განვლილი ცხოვრების გზაზე არსებული მოვლენები, რომელთაც შენ მართავ ან მათ მართვაში ღებულობ მონაწილეობას, ერთგვარი ვიზაა, ხოლო, რაც შეეხება ბეჭედს, აქ საქმე სხვაგვარადაა. ყოველი შენი ნამოქმედარი, შენი საქციელი, ყოველი სიტყვა იწონება. საწყის ეტაპზე, მეხსიერებაში შენ მიერ ჩადენილი ნამოქმედარის ავკარგიანობა ისაზღვრება და ცალ-ცალკე მხარეს ლაგდება...

– უკაცრავად, რომ განწყვეტინებთ. ესე იგი, თუ ვინმეს ჩემზე ცუდი წარმოდგენა აქვს, ეს მე ცუდად მახასიათებს და მორჩა?

– არა, ცუდი, ან არასახარბიელო იმიჯი და ავტორიტეტი შეიძლება გარეშე ფაქტორებმა შეგიქმნან, მაგალითად, თქვენი მტრების მიერ ნალაყბევი, გავრცელებული ჭორი ან

უბრალოდ ტყუილი თქვენ შესახებ. მაგრამ ეს ყველაფერი ირკვევა და ასეთი საქციელის ჩამდენს თავის დროზე მიეზღვება. ეს სხვა თემაა. განვაგრძოთ?

– დიახ, დიახ...

– მაშ, ასე, ჯერ ცოცხალთა შორის თქვენ შესახებ არსებული ინფორმაცია გროვდება და ხდება მისი შეჯამება, შემდგომ ან გარდაცვლილთა მეხსიერებაში არეკლილ იმ ფაქტებს ვაანალიზებთ, რომელიც თქვენ გეხებათ. ამ ორი ნაერთის შედეგად ხდება დასკვნის გამოტანა „როგორი იყავით სხვათათვის“. ასე რომ...

– უკაცრავად, განყვეტინებთ. კრიტიკერიუმებს, რომლის მიხედვითაც ფასდება ადამიანის ნამოქმედარი სიცოცხლეში, ვინ აფასებს მას?

– უზენაესი. მის მიერაა დადგენილი წესი, რომელსაც ჩვენ ბრმად ვემორჩილებით.

– გისმენთ.

– მაშ, ასე. სიცოცხლეში პიროვნების შეფასება შესაძლებელია. ესე იგი, ვარკვევთ „როგორი იყო სიცოცხლეში“. შემდეგ ხდება მისი გაფილტვრა და დგინდება, ვინ არის და რამდენად შეესაბამება „ცოდვილს“, „შემცოდველს“ თუ „წმინდანს“. შემდგომ ამისა, სული გადაიყვანება იმ, ასე ვთქვათ, განზომილებაში, რომელსაც იგი იმსახურებს. შენ უკვე ნახე „შეცოდვილთა“ სავანე მოხუცთან. წმინდანნი უზენაეს საუფლოში იდებენ ბინას, თუმცა, მათი იქ ცხოვრების წესის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით და ეს საკითხი ჩვენთვის დახურულია. რაც შეეხება ცოდვილთ, მათი შემდგომი ბედი დამოკიდებულია, სიცოცხლის დროს ცხოველთა, მწერთა ან სხვა სულიერთა რა კატეგორიას განეკუთვნებოდა იგი.

– მაგალითად?

– მაგალითად, ღორი, ვირი, ქიაყელა, ვირთხა, თევზი, კალია, ბუზი და სხვა.

– ვერ გავიგე რაღაც. თუ ადამიანი, დაუშვავთ, განე-

კუთვნება არწივს ან ლომს, მაშინ...

– ბატონო დავით, რა საჭიროა სულსწრაფობა? მომის-
მინეთ.

– უკაცრავად, ბატონო, ბოდში!.

– მაშ ასე, ამ შემთხვევაშიც არსებობს დაყოფა. დავუშ-
ვათ, თქვენ შეიძლება აღმოჩნდეთ ღორის ან ნიანგის სხ-
ეულში, მაგრამ თქვენი აზროვნება ადამიანისა იქნება, , ასე
რომ... მიმიხვდით.

– თქვენ, ალბათ, მეხუმრებით, არა?

– მთლად არა, დასკვნები თქვენ გააკეთეთ.

– რას ნიშნავს „შავი გვირაბი“? მე მგონი ასე ეძახიან
მოუსავლეთში მიმავალ გზას.

– ეს ის პერიოდია, სანამ დადგინდება, „როგორი იყავი
სხვათათვის“.

– თუ მე კარგი ვიყავი, მაშინ...

– ბატონო დავით, აი, ვაშლი. ეს იდენტურია იმ ვაშლი-
სა, რომელიც ევამ მიირთვა. განსხვავება კი ისაა, რომ ევა
ადამიანთა მოდგმის საწყისია, თქვენ კი ადამის მოდგმის
ერთ-ერთი რიგითი წევრი.

– ეს ის „კომპიუტერია“, მაშინ რომ ბრძანეთ?

– დიახ.

– ეს ჩემთვისაა?

– არა. ის შეიძლება მხოლოდ ქალმა მიიღოს.

– მაგრამ რატომ?

– ქალი შობს სიცოცხლეს.

– კი მაგრამ, ჩვენც ხომ ვიღებთ გარკვეულ მონაწილეო-
ბას, ასე ვთქვათ...

– როგორც გინდათ, ისე ვთქვათ. მაცხოვრის მხოლოდ-
შობილი ძე, უფლის ნებით, ჩაისახა ქალწულის სხეულში. იქ
არანაირ ბინიერებას ადგილი არ ჰქონია.

– კი, მაგრამ...

– არავითარი მაგრამ, მე თქვენ აგისხენით. გახსოვთ, ვინ

არის ადამი და ვინ – ევა?

– კი, მაგრამ გამოდის, რომ ჩვენ, მამაკაცები, არაფერ შუაში ვართ ერისა და ქვეყნის გამრავლებასთან დაკავშირებით?

– როგორ არა, მაგრამ თქვენს მეუღლესთან ერთ სხეულად ყოფნისას ბინიერ აზრს არ გაუკენწლავს თქვენი გონება?

– შეიძლება. არ დავკვირვებივარ.

– მაშინ დააკვირდით და მიხვდებით.

– კი, მაგრამ ქალსაც ხომ შეიძლება ბინიერმა აზრმა გაუკენწლოს გონება?

– რასაკვირველია, მაგრამ როცა შობს, ის ტკივილია მისი მონანიება, და სამუდამო სასჯელ-შენდობა კი – 9 თვე მუცლადმყოფი ატაროს შვილი მისი.

– ვისი?

– თვისი.

– ეს ყოველივე კარგი, მაგრამ რა ხდება, როცა ადამიანს ენიჭება სტატუსი – „ცოდვილი“, უფრო სწორად, აქვს მას საშუალება, ცოდვები მოინანიოს?

– კი, მაგრამ სიცოცხლეშივე ეკლესიას, როგორც შენობას, ისე რომ ჩაუვლიდა და სანთელს მოდის გულისთვის რომ ანთებდა, ამაზე რა პასუხს გამცემ?

– ნუ, იცით, ამ შემთხვევაში...

– ვიცით, სანთელს იმიტომ ანთებდა და ღმერთს იმიტომ ევედრებოდა, რომ მდგომარეობა გაეუმჯობესებინა ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეენარჩუნებინა. მართალი ვარ?

– ხო, მესმის. თქვენ ხომ შესანიშნავად იცით, რა დაძაბული ცხოვრებაა, თავბრუდამხვევი რიტმი, პრობლემები, ათასი დავიდარება.

– კი მაგრამ, თუ თქვენ თქვენთვის გინდათ იცხოვროთ, მაშინ ან პირჯვარს რატომ იწერთ, ან ცოდვებს რატომ იწინებთ?

– ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ. ამას სჯულის კანონი მოითხოვს.

– ხა, ხა, ხა...

– რატომ გეცინებათ?

– შე კაცო, დღეს რომ ხელმრუდობას ჩაიდენ, მერე ცოდვას მოინანიებ და ეკლესიიდან გამოსული ისევ მუხთლობაზე ფიქრობ, ამაზე რას მეტყვი?

– რატომ ასე რადიკალურად?

– აბა, როგორ? მე თქვენი ვერ გავიგე. ესე იგი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ შესცოდე, მერე მოინანიე და ეს ცოდვა ჩამოგენერა, მერე ისევ შესცოდე, მოინანიე და ახლა ეს ცოდვაც ჩამოგენერა, ასეა?

– ჩვენი რელიგია ასე ამბობს...

– თქვენი რელიგია კი ამბობს ასე, მაგრამ არა ქრისტიანობა. უკაცრავად, თქვენ შეცოდება უზენაესის წინაშე და შემდეგ მონანიება, ეს „კაზაკი რაზბოინიკი“ ხომ არ გგონიათ? ან იქნებ „თქვენი რელიგია“ მიგაჩნიათ ჭეშმარიტ სჯულად?

– თქვენ ვერ გამიგეთ. ადამიანს აქვს უფლება, მოინანიოს.

– აქვს, მაგრამ თამაშის უფლება არ აქვს. ის, რასაც თქვენ „თქვენს რელიგიას“ უწოდებთ, ეს მარტო ცოდვა არ არის, ეს ზნედაცემულობაა.

– გთხოვთ, ნუ განმირისხდებით. მაგრამ, მე მეგონა, რომ თქვენ უფლის მოწინააღმდეგე იყავით?

– მერედა, ვინ გითხრა, რომ მისი მომხრენი ვართ?

– კი მაგრამ, ის, რაც თქვენ ამ წუთში ბრძანეთ, ადამიანს სხვა წარმოდგენას შეუქმნიდა თქვენ შესახებ.

– არ გეთანხმები. საქმე იმაშია, რომ ჩვენი მოძღვრება და ჩვენეული წესი ადამიანთა ცხოვრების სისუსტის მეხოტბეა, უზენაესისა კი – სიძლიერის.

– ხომ ვერ დამიკონკრეტებდით?

– იდიოტო. შენ ხომ მარხვას მოდისთვის იცავ. არა მარტო შენ, არამედ ბევრი შენი თანამოჯიში.

– მე მოჯიში არ მყავს, მე ცხოველი არა ვარ, რომ ასე მომმართო.

– სცდები. ძალიან სცდები.

– არ ვცდები. მე ადამიანი ვარ და მე მოდგმა გამაჩნია.

– შენი აზრით, რას ნიშნავს „მარხვა“?

– ეს რელიგიური წესია...

– ეს წესი კი არა, კანონია. მისმინე! მარხვა თვითგვემას ნიშნავს და არა აკრძალვას. იგი სხეულის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას ემსახურება და არა დიეტას. ეს პროცესი შენი სულიდან უნდა იწყებოდეს და არა კუჭიდან.

– თქვენ თუ იცავთ მარხვას?

– ჩვენ? არასოდეს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა მივიღოთ ყველაფერი, რაც ცუდად დევს, რისი აღებაც შეგვიძლია, ჩვენი სიძლიერე ვნებაშია, სურვილშია და წარმოსახვაშია... უფრო სწორად როგორ აგისხნა? „რა მოხდა მერე?“, „მერე რა ვუყოთ?“, „რა უჭირს?“, „შეცდა, ვინ არ შემცდარა?“, „ღმერთო, მაპატიე, მაგრამ...“, „მე ასე მიმაჩნია სწორად“ და სხვა ამისთანა-ნი ფილოსოფიური აზროვნების და ადამიანთა ცხოვრების წესის დამდგენელნი არიან. თითოეული ეს ფრაზა გამართლებათ თქვენი ნამოქმედარისა, რომელსაც, თქვენვე ცდილობთ, გაამართლოთ და ჩემკენ მომავალი გზას კაშკაშა ვარსკვლავი ხდება თქვენი გზის გამკვლევი ცხოვრებისეულ ლაბირინთებში, გაიგე?

– ეს ფრაზები, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ, უბრალოდ, ყოველდღიური ფრაზებია და არა მგონია, მას ამხელა დატვირთვა გააჩნდეს.

– წარმოიდგინე წმინდა მამა, რომელსაც ლოცვა დაეზარება და იტყვის „რა მოხდა მერე“.

- ეს წარმოუდგენელია.
- თუ ეს წარმოუდგენელია და მიუღებელი, რატომ გგონიათ, რომ „მას ასე მიაჩნია“ გაამტყუნებს მას მრევლის თვალში?
- ვერ გავიგე, განმიმარტეთ.
- ვთქვათ, მღვდელმა ბრძანა „მე არ ვილოცებ თქვენთვის“, ან მისთვის, ან ვილაცისთვის, იმიტომ, რომ მას ასე მიაჩნია. თქვენ შეგიძლიათ მღვდელს ოპონირება გაუწიოთ?
- ალბათ, არა, მაგრამ ის ამას არ გააკეთებს.
- რატომ? თუკი მონათვლაში „სტავეკები“ არსებობს? ესე იგი, ხანდახან ლოცვის გამოტოვება შეიძლება, მართალი ვარ?
- ეს „სტავეკები“ კი არა, შესაწირია.
- თქვენ როგორ გგონიათ, ბატონო დავით, მე თვალები ახვეული მაქვს?
- გასაგებია, მაგრამ ასეთები ერთეულები არიან.
- ერთეულები სხვანი არიან. მე მათ წინაშე მუხლს ვიყრი, თქვენეულ „ერთეულებთან“ კი..., გამიგეთ...
- ბოდიშს გიხდით, თქვენ ეკლესიაში დადიხართ?
- რასაკვირველია
- კი მაგრამ, რატომ?
- ეს საუკუნო ცოდვა მაღვეს კისერზე, რის გამოც ადამიანთა სიბილწეში მიწევს ყოფნა. ეს სხვა თემაა და ოდესმე ამასაც გიამბობ.
- იქნებ, ორიოდ სიტყვით მაინც მითხრათ.
- ლეო ტაქსილის „სახალისო ბიბლია“ წაგიკითხავს?
- არა.
- ყველა ამ შეკითხვაზე პასუხი იქ არის. ერთს გეტყვი მხოლოდ: ბიბლია სახალისო არ არსებობს, ის კანონია ყოველივე ცოცხალის და არაცოცხლის, ცოცხლად ყოფილის და სიცოცხლემისჯილის... ყველაფრის...
- მცენარეებისაც?

- მით უმეტეს.
- რატომ მით უმეტეს?
- იმიტომ, რომ მცენარე სიცოცხლეს კვებას.
- იცით, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზოგიერთი საკითხი ანუ შეკითხვა უპასუხოდ რჩება და...
- ეს დისკომფორტს გიქმნით?
- დიახ.
- რომელ საკითხზე დავკონკრეტდეთ?
- რას ნიშნავს ლორი, თევზი, ლომი, ზვიგენი?
- გასაგებია, გამოყოთ ლომი, არწივი და გველი, დანა-რჩენები ადამიანის ცოცხალი „ალოტროპიული“ სახეცვლილებათა, ხოლო ლომი, არწივი და გველი – ნოდება.
- დამიკონკრეტეთ.
- ლომი – „მინასა ზედა“, არწივი – „ცასა შინა“, გველი – „ქვესკნელთა ქვეშე“
- ანუ...
- ამაზე მეტის თქმის უფლება მე არ მაქვს.
- ვაშლი.
- მეორედ მოსვლას, შემდგომში, გონი...
- რატომ დადიხართ ეკლესიაში, დამიკონკრეტეთ.
- ჯერ ერთი, მე დავდივარ იმ ეკლესიაში, სადაც მრევლი არ არსებობს, ეს ჩემი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა, მეორე – ანგარებიანი მლოცველი და მესამე – ფარისეველი.
- თუ შეიძლება, სხვა საკითხებზეც მინდა დაგისვათ შეკითხვები.
- გისმენთ.
- ადამიანთა უდიდესი ცოდვა ან ცოდვანი. მათ შესახებ მსურს პასუხი მივიღო.
- ძალიან გაგვიგრძელდა ლაპარაკი, არ ველოდი ამას ჩემი თავისგან.
- გთხოვთ.
- კარგით, კერძოდ, რა გაინტერესებთ?

– პირველად როდის შესცოდა ადამიანმა ედემიდან გამოდევნის შემდეგ?

– როცა ძმამ ძმა მოკლა.

– ადამიანთა საშინელი ცოდვები...

– ყოველი ცოდვა საშინელია.

– არსებობს მსოფლიო რელიგიებში ისეთი, რომელსაც, რწმენის გარდა, სხვა მძლავრი იარაღიც აქვს მორწმუნეთა ერთსულოვნების.

– ეს რელიგია აქვთ ებრაელებს.

– რით დასტურდება ეს?

– ებრაელია ის, ვისაც დედა ჰყავს ებრაელი.

– და, მერე, რით არის ეს ფაქტი ასე ძლიერი?

– მათ თავიანთი მოძღვრების ეს ქვაკუთხედი იმისთვის შეიცნეს, რომ ერი არ გადაშენებულიყო ეგვიპტეში. ეგვიპტელ დიდებულთ მონებად ჰყავდათ ებრაელთა უმშვენიერესი ასულნი. მრავალი მათგანი დედა გახდა ბატონის ხელში. მოძღვრებაში ეროვნების შესახებ, ერის მამებმა ფასეულობები განძად აქციეს. ეს იმით გამოიხატება, რომ ყოველ შვილს დედა ზრდის და დედის სითბო და სახელი შეუცვლელია ბავშვისათვის. დედაა მისი პირველსაწყისი, ყრმის თვითშეგნების პირველ გაკვეთილს დედა აძლევს თავის პირმშოს. ბალლი თუნდაც დიდებული გახდეს, მამის ტრადიციას ენდობა, მაგრამ დედისას აღიარებს, ვერავინ ვერ შეეგუებოდა დედის მონობას, ხოლო დიდებულნი საკუთარ შვილებს სახლს და ტიტულს უბოძებდნენ-ხოლმე. ამ გენიალურმა სვლამ შეუნარჩუნა ამ ერს სიდიადე და უშვა მოსე.

– უკაცრავად, იქნებ განმიმარტოთ...

– მეტს არ დავამატებ, ეს ჩემს ძალაუფლებას აღემატება.

– ჩვენზე, ქართველებზე, რას მეტყვი?

– რისი გაგება გსურს, პროფესორო?

- ყველაფრის, რაც საქართველოს ეხება.
- ამ ქვეყანას ბევრი რამ ეხება, შენ, კონკრეტულად, რა გაინტერესებს?
- შენ ტახტი ყველგან დაიდგი, ამიტომ, დაგიკონკრეტო კითხვა, მიჭირს და...
- ცდები, საქართველოში ვერ დავიდგი ტახტი. ერთი ტაბურეტი დავდგი გზად, რომ დავისვენო.
- მატყუებ.
- არა, სიმართლეს გეუბნები.
- მაშ, რატომ არის ასეთი ქაოსი ქვეყანაში?
- ტახტს თუ დავდგამ, დაწყნარდებით.
- გინდა, გაგვნირო?
- რატომ, ვინ გაგვნირე, რომ თქვენ გაგვნიროთ?
- ჩვენი ქვეყანა...
- ხო, ვიცი, წილხვედრია და ასე შემდეგ.
- მერე?
- მაგიტომაც მიდგას ტაბურეტი მხოლოდ.
- რა არის ჩვენი ერის ბედნიერებისა და უბედობის მიზეზი?
- ეს ძალიან ღრმა საკითხია, თუმცა, ბევრს გეტყვი და ბევრსაც დაგიმალავ. შევთანხმდით?
- კარგი, მაგრამ ბევრს თუ მეტყვი და არაფერს დამიმალავ, უკეთესი იქნება.
- კარგი, გეტყვი იმას, რაც შეიძლება, რომ იცოდე.
- გმადლობთ.
- არაფერს.
- რა არის ჩვენი ერის უბედურება?
- შენგან მიკვირს, პროფესორო. თქვენ ხომ „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი დაწერეთ. ამაზე მეტი უბედურება რა გინდა?
- ალბათ, იმიტომ მოიქცნენ ასე, რომ იოლი გასაგები ყოფილიყო მასებისათვის.

- კი, მაგრამ შემოკლებული ლოცვა გაგიგია?
- არა.
- შემოკლებული ლოცვა ფარისევლობაა.
- გეთანხმები, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურული ნაწარმოებია, მიუხედავად მისი სიდიადისა...
- თუ ასე ავიღებთ, მაშინ ბიბლია ბესტსელერი ყოფილა.
- არ გეთანხმებით.
- მაშინ რატომ გგონიათ, რომ მე გეთანხმებით?
- მე ეს არც მითქვამს.
- „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ერის გენეტიკაა, ბატონო დავით. იქ თქვენი ერის დამახასიათებელი ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეა გამოხატული.
- დიახ, ის შესანიშნავია.
- შესანიშნავი?
- დიახ.
- მაოცებთ. ეს ხომ ხელთუქმნელი ძეგლია მსოფლიო საგანძურისა. თუმცა, როდის ყოფილა, თქვენ, ქართველებმა, საკუთარის გაფრთხილება იცოდით?
- რატომ, ბატონო?
- მე რა ვიცი, რატომ. იცი, ერთხელ ერთი გენერლის და ვილაც კაცის საუბარს შევესწარი. სუფრაზე ისხდნენ. ამ კაცმა ინატრა, ნეტავ ქართველები ბევრნი ვიყოთო. ამ გენერალმა კი ბრძანა: „ღმერთმა ნუ ქნას და ისიც ამ დროში“. ეს ქართველი განაწყენდა „რატომ, ბატონო?“. „იმიტომ, რომ თქვენ ან მსოფლიოს დაიპყრობთ, ან ერთმანეთს გაანადგურებდითო, ორივე შემთხვევაში ცივილიზაცია ცანადგურდებოდაო“.
- და, ეს რას ამტკიცებს?
- თქვენს მანკიერებას.
- მე არ ვამბობ და არც ვამტკიცებ, რომ ჩვენ იდეალური ერი ვართ, მაგრამ ასე რადიკალურად მიდგომა საკითხის-

ადმი, ჩემი აზრით, დაუშვებელია.

– მისმინეთ. გახსოვთ ანეგდოტი, ჯოჯოხეთში რომ ქვაბები დგას, ერთში სომხები სხედან, მეორეში – ებრაელები, მესამეში – ქართველები და მეოთხეში – რუსები. გახსოვთ ეს ანეგდოტი?

– კი, მაგრამ...

– არავითარი მაგრამ. თქვენი მთავარი მტერი შინაგანი ამბიციია და ეს ამბიციაც მანკიერია, არასრულფასოვანი. თქვენ ამბიციურები და ქედმაღალნი მხოლოდ საკუთარი ერის შვილებთან ხართ, სხვა დანარჩენთან კი – ლოიალურნი.

– თქვენ გინდათ, თქვათ, რომ ...

– ხო, მინდა გითხრა, რომ თქვენი საკუთარი ჯოჯოხეთი თითოეულ თქვენგანშია. გახსოვს შესანიშნავი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“? გაიხსენე მეფე გიორგის უკანასკნელი სიტყვები.

– მომისმინეთ! რატომღაც მგონია, რომ თემას გადავუხვიეთ და ჩემს შეკითხვაზე პასუხი არ გამეცით.

– კერძოდ?

– თქვენ ჩემი ერის მანკიერებაზე საუბრობდით. მინდა გავიგო თქვენეული ვერსია ამ თემის შესახებ.

– ოჰო... ვერსია და ისიც ჩემეული? გეტყვი. წელან გითხარი, რასაც ნიშნავს ლომი, არწივი და გველი. ეს განსაკუთრებული სამი სტიქიაა. ერი, რომელიც სამივე სტიქიას ფლობს, ჰეგემონია საკუთარ ქვეყანაში და პატივცემული სხვა ქვეყნებში. ასევეა პიროვნებებიც, თუმცა, ამ შემთხვევაში, ფასეულობები უფრო სხვა სახით განიხილება. მაგალითად, პირველი სტიქია „ლომი“: იგი მბრძანებელი, მტაცებელი, მეოჯახე და მეფედ შობილი. იგი თავად წყვეტს, რამდენმა მხეცმა და, საერთოდ, ტყიურმა უნდა იცოცხლოს მის საუფლოში. ეს კრიტერიუმები ახასიათებს მხოლოდ ლომებს. დავუშვათ, რომელიმე ამოვიღეთ, ან, უფრო მარ-

ტივად, ჩამოვაცილეთ, მივიღებთ არასრულფასოვან ცხოველს, მტაცებელს, მაგრამ არა ლომს. გველი: შხამიანი, რათა თავი დაიცვას, ელასტიური, რათა ყველგან გაძვრეს და ცივისისხლიანი. იგი, ამავე დროს, უდიდესი სიბრძნის მატარებელია. ამიტომაც მიაჩნდათ და მიაჩნიათ იგი ერთ-ერთ ღვთაებად. არწივი: ფრინველი, ყველაზე მძლავრი ფრთოსანი არსება, რომელიც ცას აკონტროლებს. წარმოიდგინე, ამ არსებებს შორის რომელი არ არის მეფე? ლომი მინასა ზედა – ნადირთა მეფე, არწივი – ცასა შინა ფრინველთა მეფე, გველი – ქვესკნელთ მეფე, დანარჩენ არსებათა მბრძანებელი.

– და, თუ ეს სამი სტიქია არ ახასიათებს ერს, იგი არასრულფასოვანია?

– სწორედაც. თქვენ გენიალურად აპრიმიტივებთ თქვენს საუნჯეს, რათა სხვათა პრიმიტივები გენიალურად წარმოაჩინოთ.

– სად არის ხსნა?

– მე გინდა გითხრა?

– ხო, შენ.

– თქვენ – ყველაზე მძლავრი იარაღი, რამაც თქვენი ერი დღემდე მოიყვანა და თქვენი უდიდესი მანკის გამოსწორებაში...

– მითხარი კონკრეტულად, გთხოვ.

– ილიას ქადაგებისათვის თუ გისმენია, პროფესორო?

– ილია? რომელი ილია?

– ილია მართალის ქადაგებისათვის თუ გისმენია, ქართველო?

– მე მხოლოდ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ვიცნობ.

– ხო, რასაკვირველია.

– კიდევ რაღაც მინდა გკითხოთ.

– მოვრჩით.

- კი, მაგრამ რატომ?
- შენ შენი ოჯახის ყველა საიდუმლოება გაგაქვს გარეთ?
- რასაკვირველია, არა.
- მაშინ მეც ნუ მთხოვ.
- იქნებ, ერთი შეკითხვა...
- ჰო, მართლა, დაბრუნებას აღარ აპირებ?
- როგორ არა, მე მინდოდა შეკითხვა...
- აუფ, რამდენი გადასხმის სისტემა გაქვს მიერთებული.
- გასაგებია. ერთი საკითხი...
- ვა, რამხელა შპრიცი მოუტანიათ...
- დიახ, რა სამწუხაროა და მე მინდა...
- შეხედე, გაცდებოდა კაცი. შენი ცოლი შენი სიცოცხლისთვის ლოცულობს. არ გინდა, მოუსმინო?
- რასაკვირველია, მაგრამ მე მსურს გავიგო...
- ერთი ნუთით...
- „იგი“ წამოდგა, ტელეფონთან მივიდა, ყურმილი წარწარად იპყრო ხელთ. პროფესორს ღიმილით შეხედა და...
- ხო, მე ვარ... არა... ახლა რა პროცედურას უტარებენ?.. ოყნაა... კარგია. ხო, ხო... დავაბრუნოთ და ყურმილი დაკიდებ.
- თქვენ არ გითქვამთ, რას ნიშნავს ვიზაზე ბეჭედი.
- ამას „გასაუბრებაზე“ გეტყვი. ახლა კი... „ჩაო“.
-
- ნელა... - ამოიკვნესა პროფესორმა, - ნელა, თქვე უღმერთოებო...
- აზრზე მოდის, ექიმს უხმეთ.
- ვაიმე, დედა - აღმოხდა ბატონ დავითს.
- უხ, შენი მუცელღმერთა დედა ვატირე - ჩაიდუდუნა სანიტარმა.

სარჩევი

| | |
|------------------|----|
| პარტიზანები..... | 3 |
| ხატიმინდორა..... | 6 |
| ნათლობაში..... | 9 |
| კომა 1..... | 12 |
| კომა 2..... | 17 |
| კომა 3..... | 33 |